პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 76 (9852) | კვირა, 28 მარტი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებენ სოფლის ყველა კომუნისტსა და კომკავშირელს, ყველა კოლმეურნესა და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს — გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეული მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლისათვის, პირუტყვის სულადობის შემდგომი ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

1954—1955 წლებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გზით მარცვლეულის წარმოების გადიდების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნიათ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა რაიონში მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად მარცვლეულის წარმოების გადიდებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალი მიწების ათვისებას მარცვლეული კულტურების დასათესად. მოკლე ხნის მანძილზე მარცვლეულის წარმოების გადიდების დიდმნიშვნელოვანი და სავსებით რეალური წყაროა მარცვლეული კულტურების ნათესების გაფართოება ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გზით ყაზახეთის, ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთის რაიონებში და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებში. ამ რაიონებში არის ნოყიერი შავნიადაგიანი და წაბლანიადაგიანი აუთვისებელი მიწების უდიდესი მასივები, რომლებზეც შეიძლება უხვი მოსავალი მოვიყვანოთ ისე, რომ არ გავწიოთ დიდი დამატებითი კაპიტალდაბანდებანი.

ციმბირის, ყაზახეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სავსებით შესაძლებელია გატეხილი ყამირი და ნასვენი მიწების თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 14-15 ცენტნერი საგაზაფხულო ხორბალი, მოწინავე მეურნეობებს კი ჰექტარზე მოჰყავთ 20-25 და მეტი ცენტნერი. მაგალითად, ჩელიაბინსკის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „პეტროპავლოვსკიმ“ 1953 წელს 19 ათასი ჰექტარი ფართობის, მათ შორის ამ უკანასკნელ წლებში ახლად ათვისებული 10 ათასი ჰექტარი მიწების თვითეულ ჰექტარზე 22 ცენტნერი ხორბალი მოიყვანა. ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის კონიუხოვის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზაში“, სადაც ჰექტარზე საგაზაფხულო ხორბლის საშუალო ფაქტიური მოსავალი 14,5 ცენტნერია, ახლად ათვისებულ 350 ჰექტარი ყამირი მიწის თვითეულ ჰექტარზე მიღებულია 30 ცენტნერი მოსავალი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ყაზახეთის, ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, ამ რაიონების მტს-ებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ ამოცანად უსახავენ — გააფართოონ მარცვლეული კულტურების ნათესები 1954-1955 წლებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გზით სულ ცოტა 13 მილიონი ჰექტარით და 1955 წელს მოიყვანონ ამ მიწებზე 1.100-1.200 მილიონი ფუთი მარცვლეული, აქედან 800-900 მილიონი ფუთი სასაქონლო მარცვლეული.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1954 წლის 2 მარტის დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა **დაადგინეს:**

1. დაევალოს ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო კომიტეტებსა და სამხარეო კომიტეტებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, საოლქო აღმასკომებსა და სამხარეო აღმასკომებს, აღნიშნული რაიონების მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს გაადიდონ ნათესები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში: 1954 წელს სახალხო-სამეურნეო გეგმის შესაბამისად ხორბლისა და ფეტვისა 2,3 მილიონი ჰექტარით, აქედან კოლმეურნეობებში — 1,8 მილიონი ჰექტარით და საბჭოთა მეურნეობებში — 0,5 მილიონი ჰექტარით; 1955 წელს გაადიდონ მარცვლეული კულტურების ნათესები კიდევ სულ ცოტა 10,7 მილიონი ჰექტარით, აქედან კოლმეურნეობებში 6,9 მილიონი ჰექტარით და საბჭოთა მეურნეობებში 3,8 მილიონი ჰექტარით.

საბჭოთა მეურნეობებში მარცვლეული კულტურების ნათესები გადიდდეს 2,3 მილიონ ჰექტარ ფართობზე ყამირი, ნასვენი და სხვა მიწების ათვისების გზით არსებულ საბჭოთა მეურნეობებში და 2 მილიონ ჰექტარ ფართობზე — სახელმწიფო მიწის ფონდის მიწების ათვისებით.

2. დაწესდეს, რომ 1955 წელს ახლად ათვისებულ მიწებზე მარცვლეული კულტურები უნდა დაითესოს, როგორც წესი, კარგად მომზადებულ ანეულსა და აღრეულ მზრალად ხნულში.

3. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, ციმბირის, ურალის, ვოლგისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის საოლქო აღმასკომებსა და სამხარეო აღმასკომებს ერთი თვის ვადაში მისცენ რაიონებს, მტს-ებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 1955 წლის ნათესებისათვის 1954 წელს ყამირი და ნასვენი მიწების მოხვნის დავალებანი, ამასთან უზრუნველყონ თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და მტს-ში ამ მიწების ათვისების კონკრეტული გეგმების შედგენა.

4. მოწონებულ იქნას ინიციატივა, რომ 1954-1955 წლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაფართოვდეს მარცვლეული კულტურების ნათესები ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გზით გარდა მარცვლეული კულტურების ნათესის იმ ფართობებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილების 1 პუნქტით: ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოსი და ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა — კოლმეურნეობებში 100 ათასი ჰექტარით, ბაშკირეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბაშკირეთის საოლქო კომიტეტისა — კოლმეურნეობებში 165 ათასი ჰექტარით, ბურიატ-მონღოლეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბურიატ-მონღოლეთის საოლქო კომიტეტისა — კოლმეურნეობებში 100 ათასი ჰექტარით და საბჭოთა მეურნეობებში 18 ათასი ჰექტარით, ამურის საოლქო აღმასკომისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტისა — კოლმეურნეობებში 100 ათასი ჰექტარით და საბჭოთა მეურნეობებში 25 ათასი ჰექტარით, ომსკის საოლქო აღმასკომისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტისა — კოლმეურნეობებში 50 ათასი ჰექტარით, ჩკალოვის საოლქო აღმასკომისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტისა — კოლმეურნეობებში 200 ათასი ჰექტარით და საბჭოთა მეურნეობებში 83,5 ათასი ჰექტარით, ტიუმენის საოლქო აღმასკომისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტისა — კოლმეურნეობებში 60 ათასი ჰექტარით და საბჭოთა მეურნეობებში 7 ათასი ჰექტარით და სტალინგრადის საოლქო აღმასკომისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საოლქო კომიტეტისა — კოლმეურნეობებში 150 ათასი ჰექტარით.

5. დაევალოს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს მოაწყონ 1954-1955 წლებში მარცვლეულის ახალი საბჭოთა მეურნეობები, როგორც მარცვლეულის დიდი მეურნეობები, რომლებიც სპეციალიზებულ იქნებიან ხორბლის, ფეტვის, შვრიის, სიმინდისა და სხვა მარცვლეული კულტურების, ნაწილობრივ მზესუმზირას და საზეთე სელის წარმოებაში, ყველა სამუშაოთა სრული მექანიზაციით.

ამ დადგენილების შესაბამისად ახალ მიწებზე მარცვლეული კულტურების ნათესების გაფართოება ჩრდილოეთ კავკასიის რაიონების საბჭოთა მეურნეობებში მოხდეს უმთავრესად საშემოდგომო ხორბლის ნათესებით.

დაწესდეს, რომ ახლად შექმნილი საბჭოთა მეურნეობების ძირითადი საწარმოო ერთეული უნდა იყოს სატრაქტორო-მემინდვრეობის ბრიგადა, რომელსაც უნდა მიემაგროს ტრაქტორები, კომბაინები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, მოძრავი ვაგონები, ფარდულები, ავტომოძრავი სარემონტო სახელოსნო, საველე სამზარეულო და ავტოცისტერნები ტრაქტორებში საწვავისა და წყლის ჩასასხმელად.

სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ შეიმუშაოს და 1954 წლის 1 მაისისათვის დაამტკიცოს მარცვლეულის ახალი საბჭოთა მეურნეობების ცენტრალურ კარმიდამოებში ნაგებობათა ტიპური პროექტები, აგრეთვე ამ საბჭოთა მეურნეობების საწარმოო უბნების ტიპური პროექტები.

კაპიტალური მშენებლობა აღნიშნულ მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებში შესრულდეს მინიმალური ოდენობით და, როგორც წესი, ცენტრალურ კარმიდამოებში.

ცალკეული ობიექტების მშენებლობა 1954 წელს განხორციელდეს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სახარჯთაღრიცხვო-ფინანსური განგარიშებისა და ერთეული შეფასებების მიხედვით, ნაკრები ხარჯთაღრიცხვისა და გენერალური გეგმის წარმოუდგენლად.

6. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, ადგილობრივ საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს თავის დროზე, მაგრამ არა უგვიანეს 1954 წლის 1 ივნისისა, მოახდინონ მიწის ნაკვეთების შერჩევა და გამიჯვნა, პირველ რიგში ყველაზე ნაყოფიერი ყამირი და ნასვენი მიწებისა, ნაკლებ პროდუქტიული სათიბებისა და საძოვრებისა, რომლებიც მდებარეობენ დასახლებული პუნქტების ახლოს, რათა გააფართოონ მარცვლეული კულტურების ნათესები კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მარცვლეულის ახალი საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის მიწების მისაზომავად გამოიყენონ აგრეთვე სახელმწიფო ფონდის მიწები.

მიწის სახელმწიფო ფონდიდან საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა აწარმოონ საოლქო აღმასკომების, სამხარეო აღმასკომების და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებებით.

საოლქო აღმასკომებს, სამხარეო აღმასკომებსა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მიენიჭოთ უფლება კოლმეურნეთა საერთო კრებების თანხმობით შეცვალონ კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობის საზღვრები და ოდენობა მიწის სახელმწიფო ფონდიდან საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის მიწების გამოყოფასთან დაკავშირებით.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან ერთად მოაწყონ მიწათმომწყობი ექსპედიციები, რომლებმაც უნდა შეასრულონ მიწის ნაკვეთების შერჩევისა და ნატურით გამოყოფის სამუშაოები ახალი საბჭოთა მეურნეობების მოსაწყობად, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მიწების მისაზომავად.

7. დაწესდეს, რომ საბჭოთა მეურნეობები და მტს-ები, რომლებმაც ახალი მიწები უნდა აითვისონ, დაკომპლექტდებიან კვალიფიციური მუშაკებით მოქმედი საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების მუშაკთა რიცხვიდან, აგრეთვე სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სახელოსნო სასწავლებლებში, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლებში და მტს-ებთან და საბჭოთა მეურნეობებთან არსებულ კურსებზე ტრაქტორისტებისა და კომბაინერების მომზადების საშუალებით.

აღნიშნული საბჭოთა მეურნეობებისათვის მუშახელის დანაკლისი რაოდენობა შევსება ორგანიზებული შეგროვების წესით.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სამხარეო კომიტეტებსა და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო აღმასკომებსა და საოლქო აღმასკომებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ყველა პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციას — ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის საფუძველზე შეარჩიონ და გაგზავნონ 1954 წელს იმ საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, რომლებმაც ახალი მიწები უნდა აითვისონ, ხელმძღვანელი შემადგენლობის მუშაკები, სპეციალისტები და კვალიფიციური მუშები.

აღნიშნული მუშაკები შერჩეულ იქნან როგორც მოქმედ მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებიდან, ისე მრეწველობიდან და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან.

მუშაკთა ორგანიზებული შეგროვება და ახალი მიწების ათვისების რაიონებში გაგზავნა მიჩნეულ უნდა იქნას პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვანი დავალების შესრულებად, დიდ პატრიოტულ საქმედ.

თვითეულ საწარმოს, დაწესებულებასა და ორგანიზაციას თავის საპატიო მოვალეობად უნდა მიაჩნდეს გაგზავნოს თავისი კოლექტივის შემადგენლობიდან სპეციალისტები და კვალიფიციური მუშები, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი წავიდნენ ახალი მიწების ათვისების რაიონებში სამუშაოდ.

დაწესდეს, რომ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა დაუბრკოლებლად უნდა გაუშვან სამუშაოდან ხელმძღვანელი შემადგენლობის მუშაკები, სპეციალისტები და კვალიფიციური მუშები, რომლებსაც ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები გზავნიან მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

8. მოწონებულ იქნას საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის და ადგილობრივი კომკავშირული ორგანიზაციების ინიციატივა, რომ ნებაყოფლობითი წესით ორგანიზებულად გაიგზავნოს იმ მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ, რომლებმაც ახალი მიწები უნდა აითვისონ, 100 ათასი კომკავშირელი და ახალგაზრდა მექანიზატორი.

9. ხელმძღვანელ მუშაკებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებსა და სოფლის მეურნეობის სხვა სპეციალისტებს, ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, შოფერებს, რემონტის კვალიფიციურ მუშებს, ანგარიშწარმოების და სხვა მუშაკებს, რომლებიც ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონების მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დამამზადებელ ორგანიზაციებში იგზავნებიან სხვა მტს-ებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, მიეცეთ ერთდროული გასასვლელი დახმარება სამი თვის განაკვეთის (ხელფასის) ოდენობით, რასაც იღებენ თავიანთი წინანდელი სამუშაოს ადგილზე, აგრეთვე აღნიშნულ მუშაკებს აუნაზღაურონ ახალ სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებული ხარჯები, თანახმად შრომის კანონთა კოდექსის 82-ე მუხლისა.

იმ პირებს, რომლებიც არ მუშაობენ (არმიიდან დემობილიზებულებს და სხვ.), გასასვლელი დახმარება ეძლევათ სამი თვის განაკვეთის (დროითი ანაზღაურების განაკვეთის) მიხედვით, რაც გათვალისწინებულია იმ სამუშაოსათვის, რომელიც მან უნდა შეასრულოს მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და დამამზადებელ ორგანიზაციებში.

10. უფლება მიეცეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჭირო შემთხვევებში მოაწყოს მტს-ებში სპეციალური რაზმები ორი-ოთხი სატრაქტორო ბრიგადის შემადგენლობით შორეულ ნაკვეთებზე მარცვლეული კულტურების დასათესად ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებისათვის, ამასთან უზრუნველყოს ისინი მოძრავი სარემონტო სახელოსნოებით, ავტოცისტერნებითა და ავტომანქანებით.

შემოღებულ იქნას იმ მტს-ების შტატებში, სადაც სპეციალური რაზმები მოეწყობა, თანამდებობანი: აგრონომის ან ინჟინრისა — სპეციალური რაზმის უფროსისა და სპეციალური რაზმის მექანიკოსის ან აგრონომისა.

დაუწესდეს აგრონომს ან ინჟინერს — სპეციალური რაზმის უფროსს თანამდებობრივი განაკვეთი 15 პროცენტით ნაკლები მტს-ის მთავარი აგრონომის ან მთავარი ინჟინრის განაკვეთზე, ხოლო სპეციალური რაზმის მექანიკოსს ან აგრონომს — უბნის მექანიკოსის ან კოლმეურნეობაში მომუშავე მტს-ის აგრონომის განაკვეთის დონეზე.

დაეკისროს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს ნავთობპროდუქტების მიზიდვა სატრაქტორო ბრიგადებისა და სპეციალური რაზმების სამუშაო ადგილას მტს-ის ხარჯზე.

11. იმ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო რაზმებისა და ბრიგადების მუშაკებისათვის საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად, რომლებმაც ახალი მიწები უნდა აითვისონ, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს შექმნან 1954 წელს და შემდგომში საჭიროების მიხედვით მოაწყონ საველე ბანაკები, რომლებიც უზრუნველყონ ვაგონებით და საცხოვრებელი კარვებით, სამზარეულოთი, აბანოთი, აგრეთვე მოაწყონ საზოგადოებრივი კვება და წყალმომარაგება.

12. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 1954 წლის 1 ივლისამდე წარმოებისაგან მოწყვეტით მოამზადონ საუკეთესო მანქანა-ტრაქტორთა სადგურებთან და საბჭოთა მეურნეობებთან არსებულ კურსებზე 14 ათასი ტრაქტორისტი, აქედან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 8 ათასი მექანიზატორთა კადრების მომზადების საერთო გეგმის ანგარიშში და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ 1954 წლისათვის დაწესებული გეგმის დამატებით 6 ათასი ტრაქტორისტი.

გამონაკლისის სახით აღნიშნული კურსების მსმენელებზე გავრცელდეს მატერიალური უზრუნველყოფის პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 16 ნოემბრის № 15080 განკარგულებით.

13. იმ მიზნით, რომ გადიდდეს კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მატერიალური დაინტერესება ახალი მიწების ათვისების გეგმის შესრულებით და მიღებულ იქნას მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი, შემოღებულ იქნას შემდეგი წახალისება:

ა) რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს საერთო კრებების გადაწყვეტილებით აძლიონ მემინდვრეობის ბრიგადების კოლმეურნეებსა და სატრაქტორო ბრიგადების მუშაკებს დამატებითი ანაზღაურება ახალი მიწების მთელი ნათესი ფართობის მოსავლიანობის დაწესებული საგეგმო დავალების გადამეტებით აღებული მოსავლის 30-მდე პროცენტის ოდენობით;

ბ) რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს, საერთო კრებების შეხედულებისამებრ, აძლიონ კოლმეურნეებს ავანსად შრომადღეებზე დაახლოებით 25 პროცენტამდე იმ ფულადი სახსრებისა, რაც მიღებულ იქნება იმ მარცვლეულის რეალიზაციით, რომელიც სახელმწიფოს ჩაბარდება სავალდებულო ჩაბარებისა და შესყიდვის წესით ახლად ათვისებული მიწების ნათესი ფართობებიდან.

სახელმწიფო ბანკმა კოლმეურნეობათა მოთხოვნით ჩარიცხოს ფულადი სახსრები იმ ფულადი სახსრების 25 პროცენტის ოდენობით, რომლებსაც კოლმეურნეობები იღებენ მარცვლეულის რეალიზაციით, რომელსაც სახელმწიფოს ჩააბარებენ სავალდებულო ჩაბარებისა და შესყიდვის წესით, ახლადათვისებული მიწების ნათესი ფართობებიდან განსაკუთრებულ მიმდინარე ანგარიშზე, საიდანაც ფულის დახარჯვა კოლმეურნეობებს შეუძლიათ მხოლოდ შრომადღეებზე გასანაწილებლად;

გ) დაევალოს „ცენტროსოიუზს“ გამოჰყოს იმ კოლმეურნეობებისათვის მისაყიდად, რომლებმაც მარცვლეული ჩააბარეს სახელმწიფო შესყიდვის წესით, სამრეწველო საქონელი, სატვირთო ავტომობილები, ავტომისაბმელები, ელექტრომოტორები, საშენი მასალები და საწარმოო და სამეურნეო დანიშნულების სხვა საქონელი — მიყიდული მარცვლეულის ყოველ 100 მანეთზე 50 მანეთის საქონელი საცალო ფასებით.

კოლმეურნეობებისათვის სატვირთო ავტომობილების მიყიდვა უნდა წარმოებდეს სახელმწიფო შესყიდვის წესით ჩაბარებულ ყოველ 50 ტონა პურზე 1 სატვირთო ავტომობილი, ისე რომ ღირებულების სხვაობა დაიფაროს სხვა სამრეწველო საქონლით;

დ) გამონაკლისის წესით მტს-ების დირექტორებს მიენიჭოს უფლება გადარიცხონ დამატებით მტს-ების სატრაქტორო ბრიგადებისა და სპეციალური რაზმების მუშაკების დასაჯილდოებლად 75 კაპიკი ახალათვისებული მიწების ნათესი ფართობებიდან სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობების მიერ ფაქტიურად ჩაბარებულ და მიყიდულ ყოველ ცენტნერ მარცვლეულზე.

აღნიშნული გადარიცხვა დასაჯილდოებლად წარმოებდეს იმ პირობით, თუ შესრულებულია თესვის საგეგმო დავალება, და ყამირ და ნასვენ მიწებზე მარცვლეული კულტურების ფაქტიურად აღებული მოსავლის მიხედვით.

ახალი მიწების ათვისების რაიონების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების, დამამზადებელი პუნქტების, ავტოკოლონებისა და სამშენებლო ორგანიზაციების მუშებს, სპეციალისტებსა და სხვა მუშაკებს საერთო საცხოვრებლები მიეცეთ უფასოდ.

დაწესდეს 1954-1955 წლებისათვის, რომ იმ ახლად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მოსამსახურეებს, სპეციალისტებსა და ხელმძღვანელ მუშაკებს, რომლებმაც ყამირი და ნასვენი მიწები უნდა აითვისონ, მიეცეთ ხელფასის დამატება 15 პროცენტის ოდენობით.

14. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მიჰყიდონ კომბინეზონები, დაბამბული ქურთუკები და შარვლები, ჩექმები, ქუდები და ხელჯაგები შესაბამისი სამინისტროების ფონდებიდან ახლად შექმნილი მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობებისა და იმ საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო ბრიგადების, მტს-ების სატრაქტორო ბრიგადებისა და სპეციალური რაზმების ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, მექანიკოსებს, ბრიგადირებსა და ბრიგადირების თანაშემწეებს, რომლებიც მუშაობენ ახალი მიწების ათვისებაზე.

15. იმის გათვალისწინებით, რომ ციმბირის, ყაზახეთის, ურალის, ვოლგისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეობებში ახალი მიწების მოხვნა და დამუშავება სავსებით უზრუნველყოფილია ტექნიკით სახელმწიფოს ხარჯზე, დაწესდეს, რომ ახლად ათვისებული მიწები ამ რაიონებში შეიტანება იმ ხნულის ოდენობაში, რომლიდანაც სახელმწიფოსათვის მარცვლეულის სავალდებულო ჩაბარება გამოიანგარიშება დათესვის პირველი წლიდან იმ ნორმების მიხედვით და ნატურსაზღაური იმ მტკიცე განაკვეთების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია მოცემული რაიონის კოლმეურნეობებისათვის.

16. დაწესდეს, რომ მარცვლეულის გამოზიდვა მოსავლის აღების პერიოდში ახლად მოწყობილი საბჭოთა მეურნეობებიდან და იმ საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან, რომლებიც მარცვლეულ კულტურებს თესავენ შორეულ ახლად ასათვისებელ მიწის ნაკვეთებზე ამ დადგენილების შესაბამისად, როგორც წესი ხდება უშუალოდ კომბაინებიდან „სოიუზზაგოტტრანსისა“ და „სოვხოზტრანსის“ ავტოკოლონებით სახელმწიფო დამამზადებელ პუნქტებში, რომლებიც აწარმოებენ მარცვლის საჭირო დამუშავებას, გაწმენდასა და გახმობას.

დამზადებათა სამინისტრომ გამოჰყოს საჭირო კაპიტალდაბანდებანი და მოწყობილობა, აგრეთვე შეუდგეს ახალი დამამზადებელი პუნქტების, ელევატორებისა და მარცვალსაცავების გაფართოებასა და ახლების მშენებლობას, რათა სავსებით უზრუნველყოფილ იქნას იმ მარცვლეულის მიღება, რომელიც კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ახალ მიწებზე მოიყვანეს.

17. დაევალოს გეოლოგიისა და წიაღის დაცვის სამინისტროს:

ა) 1954-1955 წლებში განაზოგადოს არსებული ჰიდროგეოლოგიური მასალები იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განლაგების რაიონების მიხედვით, რომლებმაც ახალი მიწები უნდა აითვისონ, და მიწის სახელმწიფო ფონდის იმ მიწების მიხედვით, რომლებიც მარცვლეული კულტურების დასათესავად ათვისებულ უნდა იქნას ყაზახეთის სს რესპუბლიკაში, ურალის, ვოლგისპირეთისა და ციმბირის რაიონებში, 300 ათას კვადრატულ კილომეტრამდე ფართობზე, ცალკეულ საჭირო შემთხვევებში მოახდინოს გამოკვლევა ადგილობრივ;

ბ) წარუდგინოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს დასკვნა აღნიშნულ მიწებზე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების წყალმომარაგების პირობების შესახებ და შემდგომ საძიებო სამუშაოთა გეგმა.

18. დაევალოს ნავთობის მრეწველობის სამინისტროს:

ა) უზრუნველყოს საჭირო რაოდენობით საწვავი და საპოხი მასალების თავის დროზე შეზიდვა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების რაიონებში, გაადიდოს არსებული ნავთობბაზების ტევადობა და მოაწყოს 1954 წლის პირველ ნახევარში აღნიშნულ რაიონებში საჭირო რაოდენობით დროებითი ნავთობბაზები;

ბ) ერთი თვის ვადაში შეიტანოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადება იმის შესახებ, რომ 1954-1955 წლებში საჭირო რაოდენობით მოეწყოს ნავთობბაზები აღმოსავლეთ ოლქებში საწვავით იმ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების უზრუნველსაყოფად, რომლებიც მარცვლეულ კულტურებს თესავენ ახალ მიწებზე, აგრეთვე დამზადებათა სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს ავტოკოლონებს;

გ) უზრუნველყოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან შეთანხმებით, რომ მოეწყოს მარცვლეული კულტურების დასათესავად ასათვისებელ მიწებზე ღრმა არტეზიული ჭაბურღილების ბურღვის სამუშაოები.

19. იმ მიზნით, რომ თავის დროზე მოეწყოს ახალ მიწებზე ხვნა, ნიადაგის თესვისწინა მომზადება, მარცვლეული კულტურების თესვა და მოსავლის აღება და მიღებულ იქნას მარცვლეული შრომის მინიმალური დახარჯვით, დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს უზრუნველყონ მარცვლეული კულტურების მოყვანისა და მოსავლის აღების მთელ სამუშაოთა სრული მექანიზაცია.

20. ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების, ნაკლებპროდუქტიული მდელოებისა და საძოვრების მოხვნის სამუშაოთა შესასრულებლად და ხორბლის თესვის დამატებით გასადიდებლად

(დასასრული მე-2 გვერდზე)

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში

1954—1955 წლებში ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გზით მარცვლეულის წარმოების გაზრდის შესახებ

(დასასრული)

1954 წელს ახალი მიწების ათვისების რაიონებში შეტანილ იქნას 120 ათასი ტრაქტორი (15-ძალიანზე გადაყვანით), 10 ათასი კომბაინი და სათანადო რაოდენობით ტრაქტორის გუთნები, სათესი მანქანები, ძძიმე დისკოიანი ფარცხები, კულტივატორები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები. მანქანა-ტრაქტორთა პარკის ტექნიკური მომსახურებისათვის შეტანილ იქნას საჭირო რაოდენობით ავტომანქანები, ავტომძრავი სარემონტო სახელოსნოები, ავტოცისტერნები, ავტოსაწვავსასხმელები, სტაციონარული ნავთობტარა, ინსტრუმენტები და მოწყობილობა.

21. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროს და თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს 1954 წელს მიაწოდონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მათი განწესებით ტრაქტორები, კომბაინები და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

22. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაამზადოს 1954 წელს გეგმის გადამეტებით 5 ათასი კპ-4 მარკის კულტივატორი, უზრუნველყოს, რომ 1954 წლის 15 მაისამდე დაამზადოს და მიაწოდოს სოფლის მეურნეობას 6,5 ათასი ამ მარკის კულტივატორი, რისთვისაც სხვა მარკების კულტივატორთა წარმოება ნაწილობრივ გადაიტანოს შემდგომ კვარტალებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

23. დაევალოს მანქანათმშენებლობის სამინისტროს 1954 წლის 15 მაისამდე მიაწოდოს იმ რაოდენობიდან, რომელსაც ამზადებენ თავდაცვის მრეწველობის სამინისტროს და უკრაინის სსრ ადგილობრივი და სათბობის მრეწველობის სამინისტროს საწარმოები, 6.500 დისკოიანი საოშავი, აქედან სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 4.000 ცალი, მათ შორის 400 ლდ-16,6 მარკის საოშავი და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 2.500 საოშავი, მათ შორის 500 ლდ-16,6 მარკის საოშავი.

24. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან, მანქანათმშენებლობის სამინისტროსა და თავდაცვის მრეწველობის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და 1954 წლის 1 ივნისამდე წარადგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წინადადებანი ახლადასათვისებელ მიწებზე 1955 წლის მინდვრის საგაზაფხულო და მოსავლის ასაღებ სამუშაოთა კულტივატორებით, მარცვლეულის სათესი მანქანებითა და კომბაინებით უზრუნველყოფის შესახებ.

25. მიეცეს უფლება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წელს გადაზიდონ ტრაქტორები როგორც ოლქებში, ისე ოლქებსა და რესპუბლიკებს შორის და ამ მიზნით ხარჯონ სახსრები მტს-ებში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მანქანა-ტრაქტორთა და სპეციალიზებულ სადგურთა საერთო ხარჯთაღრიცხვის ხარჯზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — იმ ასიგნობათა ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს შემოსავალ-გასავლის ნაანსითა და მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებით.

26. დაევალოს გზათა სამინისტროს 1954 წლის 1 ივნისამდე უზრუნველყოს ვაგონების თავის დროზე მიწოდება მიმწოდებელი ქარხნების, აგრეთვე სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მოთხოვნის თანახმად ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გასაგზავნად ახალი მიწების ათვისების რაიონებში, აგრეთვე გადაზიდოს აღნიშნული მანქანები ამ რაიონებში 1954 წლის მანძილზე მიუხედავად ტვირთების გადაზიდვის ნაკადურობისა.

27. დაუწესდეს ამ დადგენილების მე-6 პუნქტის შესაბამისად შექმნილი ექსპედიციების მუშაკებს თანამდებობრივი ხელფასები იმ ხელფასების დონეზე, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 31 აგვისტოს № 3757 დადგენილებით მეორე ჯგუფის წამყვანი საპროექტო ორგანიზაციების საპროექტო-საძიებო ექსპედიციების მუშაკებისათვის, და მიეცეთ საველე წანამატი (დღიურების ნაცვლად) თანამდებობრივი ხელფასის 60 პროცენტის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 26 მანეთისა დღეღამეში.

28. დაევალოს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს 2 კვირის ვადაში წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ახალი მიწების ათვისების საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ებისათვის ათასი ერთქვაბიანი სამზარეულოს გაკეთების შესახებ.

29. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, დამზადებათა სამინისტროს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს 20 დღის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებანი ახალი მიწების ათვისების რაიონების საბჭოთა მეურნეობებში, მტს-ებსა და დამამზადებელ პუნქტებში სამშენებლო სამუშაოთა განსახორციელებლად სამშენებლო ორგანიზაციების შექმნის შესახებ, ამასთან გაითვალისწინონ ამ ორგანიზაციების დაკომპლექტება ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით, უზრუნველყოფა სამშენებლო მექანიზმებით, აღჭურვა საბრუნავი სახსრებით, აგრეთვე მუშაკთა შრომის ანაზღაურება და პრემირება.

30. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროსთან და დამზადებათა სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში წარუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი 1954-1955 წლებში რაიონებში ახალი მიწების ათვისების საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების ცენტრალურ კარმიდამოებში, აგრეთვე დამამზადებელ პუნქტებში საჭირო მშენებლობის შესახებ, რაც უნდა შესრულდეს იმ სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროთა და უწყებათა ძალებით, რომლებსაც სამშენებლო ორგანიზაციები აქვთ ამ რაიონებში.

31. დაეტოვოთ 1954-1955 წლებისათვის სამინისტროებისა და უწყებების სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების იმ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც იმუშავებენ მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში მშენებლობაზე, ამ დადგენილების შესაბამისად, შეღავათები და უპირატესობანი შრომის ანაზღაურების პირობებში, საკოეფიციენტო დანამატებში, გამომუშავების ნორმებში და შეფასებაში და სხვა შეღავათები და უპირატესობანი, რომლებიც მათთვის გათვალისწინებულია მთავრობის დადგენილებებით იმ მშენებლობებზე, სადაც ისინი წინათ მუშაობდნენ.

32. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს და ცენტროსოიუზს მოაწყონ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო რაზმებსა და ბრიგადებში, დამამზადებელ პუნქტებსა და ავტოკოლონებში საზოგადოებრივი კვება და გააჩაღონ ვაჭრობა კვების პროდუქტებითა და პირველი საჭიროების საგნებით, რისთვისაც ფართოდ გამოიყენონ მოძრავი დუქნები.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ და საკავშირო პროფსაბჭომ უზრუნველყონ ახალი მიწების ათვისების რაიონებში მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების სატრაქტორო რაზმებისა და ბრიგადების, დამამზადებელი პუნქტებისა და ავტოკოლონების მუშაკთა კულტურული მომსახურება (კინო, რადიო, გაზეთები, ჟურნალები და სხვ.), ხოლო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ამ მუშაკთა სამედიცინო მომსახურება, აგრეთვე უზრუნველყონ მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების თვითეული სატრაქტორო ბრიგადა მოძრავი აფთიაქებით.

33. დაევალოს კავშირგაბმულობის სამინისტროს დახმარება გაუწიოს ახალი მიწების ათვისების რაიონების საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებს სპეციალურ რაზმებთან და სატრაქტორო ბრიგადებთან რადიოკავშირის დამყარებაში.

34. მიღებულ იქნას რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება, რომ ამ რესპუბლიკების საბჭოთა მეურნეობების სამინისტროთა შემადგენლობაში მოეწყოს მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების მთავარი სამმართველოები, აგრეთვე მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების ტრესტები საჭირო რაოდენობით.

35. სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს უფლება მიეცეს მოაწყოს სამინისტროს შემადგენლობაში მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების განყოფილება მარცვლეულის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისა და საბჭოთა მეურნეობებში ახალი მიწების ათვისების სამუშაოთა ხელმძღვანელობისათვის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შტატებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

36. დაევალოს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს, მშენებლობის სამინისტროსა და გზათა სამინისტროს მიაწოდონ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს და დამზადებათა სამინისტროს მათი წლიური ფონდების დამატებით 1954 წლის პირველ ნახევარში 350 ათასი კვადრატული მეტრი ფარიანი სტანდარტული სახლები.

37. სსრ კავშირის საშენი მასალების მრეწველობის სამინისტროს 1954 წლისათვის გაუდიდდეს სტანდარტული სახლების წარმოების გეგმა 100 ათასი კვადრატული მეტრით და შეუმცირდეს ადგილობრივი მასალის კედლებიანი სტანდარტული სახლების დეტალების წარმოების გეგმა 100 ათასი კომპლექტით.

38. დაევალოს სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს დაამზადოს და 1954 წლის პირველ ნახევარში მიაწოდოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 800 ცალი 25-ადგილიანი კარავი და 3.700 ათადგილიანი საბანაკო კარავი ტუ-04-19, ხოლო სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს 500 ცალი 25-ადგილანი კარავი და 2.300 ცალი ათადგილიანი საბანაკო კარავი ტუ-04-19.

39. დაევალოს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს 1954 წლის 15 აპრილამდე მიაწოდოს სსრ კავშირის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს კარვების შესაკერავად 120 ათასი მეტრი სელის ბრეზენტი, 170 ათასი მეტრი ბამბის ბრეზენტი, 600 ათასი მეტრი ბამბის ქსოვილები, 100 ათასი მანეთის ბამბის ძაფი, 10 ტონა ბაგირი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რეზერვიდან და 240 ათასი მეტრი ბამბის საკარვე ქსოვილი 1954 წლის 1 იანვრისათვის არსებული ნაშთიდან.

40. გადიდდეს 1954 წლის კაპიტალდაბანდებათა მოცულობა მარცვლეულის ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობისათვის და მოქმედ საბჭოთა მეურნეობებში მშენებლობისათვის, რომლებმაც უნდა აითვისონ ახალი მიწები, 400 მილიონი მანეთით, აქედან: სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ 22,5 მილიონი მანეთით, რუსეთის სფსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ — 162,0 მილიონი მანეთით, ყაზახეთის სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ — 215,2 მილიონი მანეთით და ყირგიზეთის სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ — 0,3 მილიონი მანეთით.

41. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსთან, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და ახალი მიწების ათვისების რაიონების სამხარეო აღმასკომებთან და საოლქო აღმასკომებთან და ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიასთან ერთად შეიმუშაონ და 1954 წლის 15 სექტემბრამდე დაამტკიცონ სახელმძღვანელოდ წინადადებანი მეურნეობის გაძღოლის სისტემისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ახლად ათვისებული მიწების გამოყენების წესის შესახებ და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1956-1960 წლებში ახალი მიწების შემდგომი ათვისების ღონისძიებანი.

42. იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა მარცვლეულის მოსავალი გადიდდეს უკვე 1954 წელს და რომ არსებობს ნასვენ მიწებზე ამ მიწების მოხვნის წელს თესვისას საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების, კერძოდ, ხორბლის უხვი მოსავლის მიღების გამოცდილება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებენ იმ რაიონების პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებს, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების მუშებს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, რომლებსაც ყამირი და ნასვენი მიწები აქვთ, გულმოდგინედ მოემზადონ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის და უზრუნველყონ 1954 წლის გაზაფხულზე მარცვლეული კულტურების ნათესების მაქსიმალური გაფართოება ადრე მოხნულ და კარგად დამუშავებულ ნასვენ მიწებზე 1954 წლისათვის დადგენილი სახელმწიფო გეგმის გადამეტებით.

★ ★ ★

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავენ, რომ ახალი მიწების ათვისებისა და ყამირ და ნასვენ მიწებზე მარცვლეული კულტურების ნათესების გაფართოების სამუშაოთა დასახული გეგმის წარმატებით შესრულება დამოკიდებული იქნება, უმთავრესად, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების კონკრეტულ ოპერატიულ ხელმძღვანელობაზე ამ საყოველთაოსახალხო საქმისადმი, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომზადებაზე, იმაზე, თუ როგორ დაირაზმებიან კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები დასახული ამოცანის შესასრულებლად.

აძლევენ რა დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების საქმეს მარცვლეულის, როგორც მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლის, წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისათვის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ავალებენ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს გააჩაღონ ახსნაგანმარტებითი მუშაობა სოფლის მექანიზატორებში, სპეციალისტებსა და ხელმძღვანელ სასოფლო-სამეურნეო კადრებში, რათა მოიზიდონ მოხალისენი, რომლებსაც სურთ გაემგზავრონ მუდმივ სამუშაოზე ახალი მიწების ასათვისებლად.

ახსნაგანმარტებითს მუშაობაში საჭიროა გამოვიყენოთ პრესა, რადიო, კინო და პროპაგანდისა და აგიტაციის სხვა საშუალებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებენ კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ახალი მიწების ათვისებაში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებენ სოფლის ყველა კომუნისტსა და კომკავშირელს, ყველა კოლმეურნესა და მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს — ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეული მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის, ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლისათვის, პირუტყვის სულადობის შემდგომი ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

ამა წლის 26 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა პაკისტანის საქმეთა დროებითს რწმუნებულს მოსკოვში ბ-ნ მ. ს. ა. ბეიგს გადასცა შემდეგი შინაარსის ნოტა:

„პაკისტანის მთავრობის 1953 წლის 19 დეკემბრის ნოტასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი.

1953 წლის 30 ნოემბრის ნოტით საბჭოთა მთავრობამ პაკისტანის მთავრობის ყურადღება მიიქცია ცნობას პაკისტანის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის მოლაპარაკებაზე იმის შესახებ, რომ პაკისტანის ტერიტორიაზე შეიქმნას ამერიკის სამხედრო საავიაციო ბაზები და პაკისტანი შეუერთდეს შუა აღმოსავლეთში აგრესიული სამხედრო ბლოკის ორგანიზაციის გეგმებს. ამასთან აღნიშნული იყო, რომ საბჭოთა კავშირი გულგრილად ვერ მოეკიდება ასეთ ცნობებს, რადგან პაკისტანის ტერიტორიაზე უცხოეთის სამხედრო საავიაციო ბაზების მშენებლობას და შუა აღმოსავლეთში აღნიშნული ბლოკის შექმნის გეგმებთან პაკისტანის შეერთებას პირდაპირი დამოკიდებულება აქვს საბჭოთა კავშირის უშიშროებასთან.

პაკისტანის მთავრობის შემდგომმა მოქმედებამ დაადასტურა საბჭოთა მთავრობის ზემოაღნიშნული ნოტის საფუძვლიანობა.

ამის გამო საბჭოთა მთავრობას არ შეუძლია დამაკმაყოფილებლად მიიჩნიოს პაკისტანის მთავრობის 19 დეკემბრის ნოტა, რომელიც წარმოადგენს პასუხს საბჭოთა მთავრობის ნოტაზე.

პაკისტანის მთავრობის ნოტა შეიცავს მტკიცებას იმის შესახებ, რომ პაკისტანში შეერთებული შტატებისათვის სამხედრო ბაზების მიცემის საკითხი თითქოს არასოდეს არ წამოჭრილიყოს. მაგრამ ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თავის ინტერვიუში, რომელიც გამოქვეყნდა ამერიკული ჟურნალის „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტის“ ამა წლის 15 იანვრის ნომერში, პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა ბ-ნმა მოჰამედ ალიმ განაცხადა, რომ იმ შემთხვევაში, თუ წარმოიშვა „საგანგებო მდგომარეობა“, პაკისტანის მთავრობა მზად იქნება გადასცეს შეერთებული შტატების განკარგულებაში სამხედრო ბაზები, რომლებიც აგებულია ეგრეთწოდებული ამერიკის სამხედრო დახმარებით. აქვე პრემიერ-მინისტრმა დასძინა, რომ პაკისტანის მთავრობას განზრახული აქვს დაუშვას ამერიკის მაღალი თანამდებობის სამხედრო მრჩევლები პაკისტანის არმიის შტაბებში და პაკისტანელი ოფიცრების წვრთნისათვის.

როგორც ცნობილია, ამა წლის 25 თებერვალს კარაჩსა და ვაშინგტონში ერთსა და იმავე დროს გამოქვეყნდა ცნობები, რომ მიღწეულია შეთანხმება პაკისტანსა და შეერთებულ შტატებს შორის პაკისტანისათვის აღნიშნული ამერიკის სამხედრო დახმარების აღმოჩენის შესახებ. პაკისტანის პრემიერ-მინისტრის ზემოხსენებული განცხადებიდან ჩანს, რომ ამასთან დაკავშირებით პაკისტანის მთავრობა კისრულობს ვალდებულებას არა მარტო გადასცეს შეერთებული შტატების განკარგულებაში პაკისტანის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზები, არამედ პაკისტანის არმია ჩააყენოს ისეთ მდგომარეობაში, როცა მისი ფაქტიური განმკარგულებელი იქნება უცხოეთის სარდლობა.

პაკისტანის მთავრობა თავის ნოტაში სრულიად უვლის გვერდს საკითხს, რომელიც დასმულია საბჭოთა მთავრობის ნოტაში შუა აღმოსავლეთის აგრესიული ბლოკის შექმნის გეგმებთან პაკისტანის შეერთების შესახებ მოლაპარაკების თაობაზე. ამავე დროს როგორც ამა წლის 19 თებერვალს კარაჩსა და ანკარაში გამოქვეყნებული პაკისტან-თურქეთის ოფიციალური კომუნიკედან, ისე პაკისტანის პრემიერ-მინისტრის ზემოხსენებული ინტერვიუდან ჩანს, რომ ახლო და შუა აღმოსავლეთში იქმნება სამხედრო ბლოკი, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირისა და აზიის მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ.

ამავე დროს ცნობილია, რომ პაკისტანს არავითარი თავდასხმა არ ემუქრება, რის გამო პაკისტანის მონაწილეობით აღნიშნული სამხედრო ბლოკის შექმნას არავითარი გამართლება არა აქვს.

როგორც უცხოეთის სახელმწიფოსათვის პაკისტანის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზების გადაცემა, ისე პაკისტანის შეყვანა სამხედრო ბლოკში, რომელიც იმპერიალიზმის აგრესიული ძალების იარაღია, არ არის გამოწვეული პაკისტანის თავდაცვის არავითარი ინტერესით და არავითარ შემთხვევაში არ შეესაბამება პაკისტანის ნამდვილ ეროვნულ ინტერესებს. ეს ღონისძიებანი არაფერ კარგს არ მოუტანენ პაკისტანის ხალხს, რომელიც, ისევე როგორც სხვა ხალხები, დაინტერესებულია მშვიდობით, თავისი დამოუკიდებლობის დაცვით, თავისი კეთილდღეობის გაუმჯობესებით.

ზემოაღნიშნულის გამო საბჭოთა მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ყურადღება მიაქციოს იმას, რომ ხსენებულ ბლოკში პაკისტანის მონაწილეობას და ამერიკის შეიარაღებული ძალებისათვის პაკისტანის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების გადაცემას არ შეუძლია ზიანი არ მიაყენოს საბჭოთა კავშირ-პაკისტანის ურთიერთობას და რომ პასუხისმგებლობა ასეთი მდგომარეობისათვის ეკისრება პაკისტანის მთავრობას“.

ბ-ნმა მ. ს. ა. ბეიგმა განაცხადა, რომ იგი ამ ნოტის ტექსტს გადასცემს პაკისტანის მთავრობას.

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტი შეუდგა 1952-1953 წლების სტალინური პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილ ნაწარმოებთა განხილვას.

სპექტაკლების, მონუმენტური სკულპტურისა და არქიტექტურის ნაწარმოებთა განსახილველად კომიტეტის წევრები იყვნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. ამის შემდეგ კომიტეტმა განიხილა თეატრალურ-დრამატული და საბალეტო ხელოვნების, ლიტერატურის, ფერწერისა და გრაფიკის სექციების ხელმძღვანელთა მოხსენებები.

25 მარტს კომიტეტის პლენუმმა განიხილა არქიტექტორთა და მოქანდაკეთა ნაწარმოებები. საბჭოთა არქიტექტორების ახალ ნაწარმოებთა შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის არქიტექტურის აკადემიის პრეზიდენტმა ა. გ. მორდვინოვმა; სკულპტურის ახალ ნაწარმოებთა შესახებ მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ვ. ს. კემენოვმა.

პლენუმზე აღინიშნა საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი სტალინური პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი ნაწარმოებებისადმი. კომიტეტში მიღებულია მრავალი წერილი შემოქმედებითი ორგანიზაციებისაგან და ცალკე პირებისაგან. (საკდესი).

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტში

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტმა დაამთავრა 1952-1953 წლების სტალინური პრემიების მოსაპოვებლად წარდგენილი მეცნიერული, მეცნიერულ-პოპულარული შრომებისა და სახელმძღვანელოთა განხილვა.

25 მარტს პლენუმი შეუდგა იმ გამოგონებათა და საწარმოო მუშაობის მეთოდების ძირეულ გაუმჯობესებათა განხილვას, რომლებიც დანერგილია ქვანახშირის მრეწველობაში, მძიმე მანქანათმშენებლობაში, საზღვაო, სამდინარო, რკინიგზის ტრანსპორტზე.

კომიტეტის სექციების ხელმძღვანელებმა და სამინისტროების წარმომადგენლებმა თავიანთ გამოსვლებში აღნიშნეს, რომ წარმოდგენილმა შრომებმა საბჭოთა ტექნიკა აიყვანა ახალ, უფრო მაღალ დონეზე, ხელი შეუწყო შრომის ნაყოფიერების ზრდას, სახსრების ეკონომიას. მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში დანერგილია მაღალი წარმადობის მანქანები და მექანიზმები, რომლებმაც გააადვილა ადამიანის შრომა.

გუშინ განიხილეს აგრეთვე მკურნალობის ახალი მეთოდები, რომლებიც საბჭოთა მეცნიერებმა და ექიმებმა შეიმუშავეს, სრულყოფილი სამედიცინო აპარატურა და სამკურნალო პრეპარატები. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სს რესპუბლიკაში

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ ორდენი „გმირი დედა“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი და მეტი შვილი:

1. **ბუდაღოვას** ეგნოსია ირაკლის ასულს — დასახლებსს, წალკის რაიონის სოფელი საფარხარაბა.

2. **კახნიაშვილს** ოლა სანდროს ასულს — კოლმეურნეს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტალინირის რაიონის სოფელი ქურთა.

3. **მავროპულოს** ვერა ალექსანდრეს ასულს — დასახლებსს, აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონის სოფელი გეორგიევსკოე.

4. **სანიკიძეს** ტატიანა ლევანტის ასულს — კოლმეურნეს, ჩოხატაურის რაიონის სოფელი ქვენობანი.

5. **ჭელიძეს** ლიზა დიმიტრის ასულს — კოლმეურნეს, ამბროლაურის რაიონის სოფელი ჭელიაღელე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წ. 26 მარტი.

საინფორმაციო ცნობა

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

გაიმართა პირველი პლენუმი საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტისა, რომელიც აირჩია კომკავშირის XII ყრილობამ. პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა აირჩია საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები რ. ტ. აბლოვა, დ. პ. გორიუნოვი, ვ. ი. ზალუჟნი, ვ. ი. კოჩეგასოვი, პ. მ. მაშეროვი, ა. ა. რაპოხინი, ს. კ. რომანოვსკი, ვ. ე. სემიჩასტნი, ზ. პ. ტუმანოვა, მ. ი. ხალდეევი, გ. პ. შატუნოვი, გ. გ. შეველი, ა. ნ. შელეპინი.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები ვ. მ. სტრიგანოვი, ვ. ტ. შუმილოვი.

პლენუმმა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ა. ნ. შელეპინი, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეული არიან: ამხანაგები რ. ტ. აბლოვა, ვ. ი. ზალუჟნი, ვ. ი. კოჩეგასოვი, ა. ა. რაპოხინი, ვ. ე. სემიჩასტნი, ზ. პ. ტუმანოვა.

საინფორმაციო ცნობა

საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომის შესახებ

გაიმართა სხდომა საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიისა, რომელიც აირჩია კომკავშირის XII ყრილობამ. სხდომამ განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ს. მ. ვესელოვი.

ციმლიანსკის ჰიდროელექტროსადგურის მეოთხე ჰიდროაგრეგატი

ნოვო-სოლენოვსკი (როსტოვის ოლქი). დამთავრდა ციმლიანსკის ჰიდროელექტროსადგურის უკანასკნელი, სათვალავით მეოთხე ჰიდროაგრეგატის მონტაჟი. მისი წინასწარი გამოცდა წარმატებით მიმდინარეობს. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ტ ყ ი ს   დ ღ ე“

მიმდინარე წლის 1 მარტს დაიწყო და 10 მაისამდე ჩვენს რესპუბლიკაში ტარდება „ტყის დღე“, რომელსაც საზოგადოება „ტყის მეგობრის“ რაიონული და საქალაქო საბჭოები მოაწყობენ ერთ-ერთ კვირადღეს ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. ამ პერიოდში უნდა დაირგოს 4 მილიონამდე ხე და ბუჩქი.

ხეები და ბუჩქები დაირგვება საწარმო-დაწესებულებათა, სკოლებისა და საავადმყოფოების ეზოებში, შარაგზებისა და სარწყავი არხების ნაპირებზე, აგრეთვე მიწათმოქმედებისათვის გამოუყენებელ საკოლმეურნეო ფართობებზე.

საზოგადოება „ტყის მეგობრის“ რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა წინასწარ უნდა შეარჩიონ და გამოჰყონ გასატყევებელი ფართობები. გზების გამწვანების დროს უნდა დაირგოს შერჩეული ჯიშის სტანდარტული ზომის ნერგები აგრონომიული წესების მტკიცედ დაცვით.

დარგვის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ამა თუ იმ რაიონის ნიადაგისა და ჰავის პირობები და სარგავი მასალაც ამის მიხედვით შევარჩიოთ. ამ საქმეში უნდა დავიხმაროთ სოფლის მეურნეობის სპეციალისტები: აგრონომები, მეტყევეები და სხვ.

ნიადაგის მომზადება და ორმოების ამოღება წინ უნდა უსწრებდეს ნერგების დარგვას. სარგავი მასალის გადატანის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ფესვთა სისტემა არ გამოშრეს. ამისათვის აუცილებელია ფესვები შეიფუთოს ხავსით ან სველი თივით. თუ ნერგს მაშინვე არ დავრგავთ, საჭიროა იგი შევინახოთ ორმოში, მზისა და ქარისაგან დაცულ ადგილას, ამასთან ნერგების ფესვებს მივაყაროთ სველი მიწა ან ქვიშა და მაგრად დავტკეპნოთ.

დაქექილი ან დაზიანებული ფესვები დარგვის წინ უნდა შეიჭრას ბაღის მაკრატლით, ხოლო დარგვის შემდეგ სასურველია ღეროს გასხვლა. უმჯობესია ნერგი დაირგოს კვირტების გაშლამდე.

დარგვის წინ ორმოში უნდა ჩაიყაროს ფხვიერი მიწა 5-10 სანტიმეტრის სისქეზე, რის შემდეგ ნერგი ორმოში უნდა ჩაიშვას ისეთ სიღრმეზე, რომ ფესვის წვერი ეხებოდეს ორმოს ძირს, ხოლო ფესვის ყელი უთანასწორდებოდეს მიწის ზედაპირს, შემდეგ ფესვებს მიეყაროს ფხვიერი მიწა და დაიტკეპნოს. დატკეპნა ხდება ორჯერ. პირველად, როდესაც ორმო მიწით სანახევროდ ამოივსება და მეორედ, როდესაც მთლიანად ამოივსება.

აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ორმოში ჩაყრილი მიწა მიწის ზედაპირთან შედარებით 5-10 სანტიმეტრით დაბლა უნდა იყოს და გაკეთდეს ჯამი. ამის შემდეგ ნერგს შევუდგამთ სარს და ავაკრავთ. სასურველია, რომ ნერგები დარგვის დროს მოვრწყოთ, შემდეგ შემოვღობოთ ძეძვის ან კუნელის ეკლიანი ტოტებით, რათა პირუტყვმა არ დააზიანოს.

ნერგის გახარებისა და შენარჩუნებისათვის აუცილებელია მისი შემოთოხნა და მორწყვა ყოველ გაზაფხულზე და ზაფხულში. ამისათვის საჭიროა „ტყის მეგობრის“ რაიონულმა და საქალაქო საბჭოებმა გამწვანებული ფართობები მოსავლელად მიამაგრონ „ტყის მეგობრის“ პირველადს ორგანიზაციებს, დაუყენონ დარაჯები.

ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი რაიონული ორგანიზაცია ყოველწლიურად „ტყის დღეს“ რამდენიმე ათას ნერგს რგავს, მაგრამ მოუვლელობისა და უყურადღებობის შედეგად მათი საკმაო ნაწილი ხმება და ილუპება. მაგალითად, რკინიგზის გარდაბნის სადგურიდან რაიონულ ცენტრში მიმავალი გზის ორივე მხარეს ამ რამდენიმე წლის წინათ დარგეს ალვის ხეები და კანადური ვერხვი, რომლებიც მოუვლელობის გამო მთლიანად გახმა. გარდაბან-თბილისის შარაგზის პირად და თვით რაიონულ ცენტრში დარგული კაკლის ნერგების დიდი რაოდენობაც გამხმარი ან მოტეხილია.

ასევე მოუვლელია მარნეულ-ბოლნისის და მარნეულ-შულავრის, თელეთკუმისის, დმანის-ბოლნისის და სხვა რაიონების შარაგზების გასწვრივ დარგული ნერგები.

მაგრამ არიან ისეთი რაიონული საბჭოები, რომლებმაც ნერგების გახარების დიდ პროცენტს მიაღწიეს. მაგალითად, კარგად გაიხარა ხობი-ცხაკაიას და ხობი-ზუგდიდის შარაგზების პირად დარგულმა სხვადასხვა ჯიშის ნერგებმა. საზოგადოება „ტყის მეგობრის“ მახარაძის რაიონული საბჭოს ინიციატივით ქალაქგარეთ გაშენებული 4 ჰექტარი ტყე-პარკის და ნასაკირალის შარაგზის გასწვრივ 4 კილომეტრ მანძილზე დარგული წიწვიანი და ფოთლოვანი ჯიშის მცენარეთა ნერგების გახარება და შენარჩუნება დამაკმაყოფილებელია. კარგ მდგომარეობაშია ქარელის მტს-ის და აგარის შაქრის ქარხნის ეზოების მწვანე ნარგავები და ყვარელ-თელავის შარაგზის გაყოლებით დარგული ნარგავები.

გასული წლის გაზაფხულზე საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს პრეზიდიუმმა მოაწყო თბილის-გორის გზატკეცილის გამწვანება მცხეთისა და კასპის რაიონებში 17 კილომეტრ მანძილზე. დაირგო ხეხილის სხვადასხვა ჯიშები: კაკალი, თუთა, ნუში, ალუბალი, მსხალი, ჰერამი და სხვ. „ტყის მეგობრის“ მცხეთისა და კასპის რაიონული საბჭოების დახმარებისა და ყურადღების შედეგად ნერგების 90 პროცენტმა გაიხარა. წელს საბჭოს პრეზიდიუმი დამატებით აწყობს გამწვანებას მცხეთა-კასპის რაიონში 6 კილომეტრზე და სოფელ სართიჭალის ახლადდასახლებულთა სასოფლო გზებზე და შარაგზის ორივე მხარეს 12 კილომეტრ მანძილზე.

ყოველივე ეს კარგია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მთავარია არა მარტო დარგვა, არამედ დარგვის შემდეგ მცენარისადმი სისტემატური ყურადღება, მისი მოვლა და შენარჩუნება.

ქალაქებისა და რაიონების გამწვანება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. თვითეული მოქალაქე და „ტყის მეგობრის“ საზოგადოების ყოველი წევრი უნდა იცავდეს ტყეს, მწვანე ნარგავებს, თვალისჩინივით უვლიდეს მას.

ამ ნიშნით უნდა მოეწყოს წელს „ტყის დღე“ ქალაქად და სოფლად.

თ. ნატროშვილი,
სრულიად საქართველოს ნებაყოფლობითი საზოგადოება „ტყის მეგობრის“ საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.



წყალტუბოს საბავშვო სანატორიუმში ყოველთვიურად მკურნალობს 50-მდე მოსწავლე ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან.

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ქ. თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გ. ლორია, ქ. ფოთის ქალთა მე-8 საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ე. კოლჩინა და ქ. მახარაძის ვაჟთა საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლე ვ. სოხარულიძე.

ფოტო პ. ლუცენკოსი.

რაც არ იცი, ჰკითხე სხვასა!

(„საბავშვო ლექსების“ რკალიდან)

ი. გრიშაშვილი

გამაბრაზა გუშინ ირამ,
სულ არ იცის შესვენება,
კითხულობს და შიგ ბევრი რამ
გაუგებრად ეჩვენება.

ამოიწერს სიტყვებს ნუსხად,
განა ერთსა, ათს და ასსა.
ვეუბნები: რასა სწუხარ,
რაც არ გესმის, ჰკითხე სხვასა.

აი ახლაც ხახაუბრობ
ვერ აუბა სიტყვის კილო...
— რაც არ გესმის, ჰკითხე უფროსს,
აქ რა არის სათაკილო?

სწავლამ ბევრი გამოზარდა,
რა დააშრობს სიბრძნის ზღვასა?
ამდენი ხნის კაცი ვარ და
რაც არ მესმის, ვკითხავ სხვასა!

1954 წ. 24 მარტი.

საბავშვო წიგნის კვირეული

ყოველწლიური ტრადიციის მიხედვით მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში საქართველოში მოეწყო „საბავშვო წიგნის კვირეული“.

საბავშვო წიგნის კვირეულის დღეებში რესპუბლიკის ყველა კლუბში, კულტურის სახლებში, პიონერთა სახლებსა და სასახლეებში, ყველა საბავშვო დაწესებულებაში, ბიბლიოთეკებში გაიმართა ბავშვთა ლიტერატურული დილები. მოეწყო მოხსენებები, საუბრები და მკითხველთა კონფერენციები საბავშვო მხატვრულ და მეცნიერულ-პოპულარულ ნაწარმოებებზე.

კვირეულის პერიოდში ბიბლიოთეკები გამდიდრდა ახლად გამოცემული საბავშვო ლიტერატურით. მოეწყო საბავშვო ლიტერატურის სპეციალური გამოფენები, მოსწავლეთა შეხვედრები საბავშვო მწერლებთან, სოციალისტური შრომის გამოჩენილ ადამიანებთან. ბავშვებმა მოაწყეს კოლექტიური წასვლა თეატრებსა და კინოებში, ექსკურსიები მუზეუმებსა და სტამბებში.

გუშინ თბილისში — რკინიგზის მხატვრული აღზრდის სახლში მოეწყო საქალაქო საბავშვო ლიტერატურული დილა. გაიმართა თბილისის რკინიგზის სკოლების ნორჩ ლიტერატორთა მეხუთე სასწავლო-სამეცნიერო კონფერენცია. საქალაქო საბავშვო ლიტერატურული დილა მოეწყობა დღესაც. ლიტერატურული დილები გაიმართა ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, თელავში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში.

„საქწიგნმა“ კვირეულის პერიოდში რესპუბლიკაში საგრძნობლად გაადიდა საბავშვო ლიტერატურით ვაჭრობა, გაიხსნა ახალი კიოსკები. რკინიგზის თბილისის მხატვრული აღზრდის სახლში მოეწყო საბავშვო ლიტერატურის დიდი ბაზრობა, გამოტანილ იქნა 70-ზე მეტი დასახელების საბავშვო წიგნი და სხვა მხატვრული ლიტერატურა.

ამ დღეებში რესპუბლიკაში დიდძალი საბავშვო და მხატვრული ლიტერატურა გაიყიდა. მარტო თბილისელმა მოსწავლეებმა შეიძინეს 200 ათას მანეთისაზე მეტი ლიტერატურა.

ახალი წიგნები

შიო მღვიმელი — „საბავშვო ლექსები“, მესამე ტომი, საბლიტგამი, თბილისი, 1953 წელი. ტირაჟი 8.000, გვ. 230, ფასი 5 მან. 70 კაპ.

წიგნში შეტანილია ავტორის მიერ გასული საუკუნის ბოლო წლებიდან 1933 წლამდე დაწერილი ლექსები. მათში დახატულია ბავშვთა სამყარო.

მამია ვარშანიძე — „სიცოცხლის წყარო“, ლექსები, სახელგამი, ბათუმი, 1953 წელი, ტირაჟი 2.000, გვ. 272, ფასი 4 მან. 40 კაპ.

ლექსების დიდ უმეტესობაში ავტორი უმღერის ჩვენს თანამედროვე ცხოვრებას, გამოხატავს საბჭოთა ადამიანების სულიერ განწყობილებას.

ფელეტონი

მისჯილი «კეთილშობილება»

კეთილშობილება საბჭოთა მოქალაქის დამახასიათებელი თვისებაა. კეთილშობილება საბჭოთა მოქალაქის ხელშეუხებელი, უნომრო პასპორტია, დაუსტამბავი, ხელმოუწერელი, ბეჭედდაუსმელი პირადობის მოწმობაა, რომლითაც მას გამოიცნობენ ყველგან — შინ თუ გარეთ, ომში თუ მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში, სამსახურსა და ოჯახში, ჭირსა თუ ლხინში.

მაგრამ ამჯერად საქმე გვაქვს მისჯილ კეთილშობილებასთან, რომელიც ცხარე კამათის საგანი გამხდარა პროკურატურის, სასამართლო ორგანოებისა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკებს შორის. ამიტომაც გადავწყვიტეთ ჩავერიოთ პაექრობაში.

ჯერ ვილაპარაკოთ იმაზე, თუ როგორ წარმოიშვა ეს სადავო „კეთილშობილება“.

სულხან-საბას ქუჩა კარგი ქუჩაა ჩვენი დედაქალაქის ცენტრში და მშვენიერი სახლებითაც არის დამშვენებული. ამ ქუჩაზე № 10 სახლში მშვენიერი ბინა უჭირავს მოქალაქე ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე ზავადსკის: ორი მზიანი ოთახი 55 კვადრატული მეტრი ფართობით, დამხმარე სათავსებით და ქუჩაზე მეორე სართულიდან გადმომყურე აივნით.

ამავე სახლში ერთ უსინათლო 26 კვადრატულ მეტრ ფართობიან ოთახში ცხოვრობს მოქალაქე არტაშეს ვართანიანი, რომლის ოჯახი ხუთი სულისაგან შედგება.

ერთ მშვენიერ დღეს მოქალაქე ვ. ზავადსკის ვხედავთ ქალაქის საბინაო განყოფილებაში, სადაც იგი დიდ გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ მოქალაქე ვართანიანი ვიწროდ ცხოვრობს, ისიც უსინათლო ოთახში.

— როგორც ვიცი, მოქალაქე ვართანიანი თქვენ აღრიცხვაზე გყავთ აყვანილი და გსურთ გაუუმჯობესოთ მას საბინაო პირობები, — მიმართავს მოქ. ზავადსკი საბინაო განყოფილების ერთ-ერთ მუშაკს.

— დიახ!

— ჰოდა მე მინდა მოგეშველოთ ამ საქმეში.

— რით შეგიძლიათ დაგვეხმაროთ?

— მე გადმოვიყვან ჩემს ბინაში.

საბინაო განყოფილების მუშაკი ნახევრად წამოდგა ფეხზე და უნდოდა მაგრად ჩამოერთვა ხელი მოქალაქისათვის, მაგრამ წამით შეჩერდა და შეეკითხა:

— ერთად იცხოვრებთ?

— ერთად რატომ? მე გადავალ მის სარდაფში.

ხელისჩამოსართმევად ნახევრად წამომდგარი მუშაკი მოწყვეტით დაეშვა ისევ თავის სკამზე და წარბი შეიკრა.

— რად იჩაგრავთ თავს?

— მისი ბავშვების გულისათვის.

— თქვენც ხომ გყავთ ბავშვი.

— გთხოვთ ხელი შემეწყოთ ამ კეთილშობილურ საქმეში და...

— მოკლედ რას გთხოვთ?

— გაგვიფორმეთ ეს გადაცვლის წესით. ჩვენც ხალხი ვართ...

— დატოვეთ განცხადება, შევისწავლით, — ცივად უპასუხა საბინაო განყოფილების სახემოღრუბლულმა მუშაკმა, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, ბევრი უნახავს ასეთი „კეთილი ნების“ ადამიანი.

კოზმა პრუტკოვის აფორიზმია — „საკითხს ფსკერში უნდა ჩახედო“. საბინაო განყოფილების მუშაკებმაც საკითხს ჩახედეს ფსკერში და თეთრწვერა მაკლერი დაინახეს. ამიტომ „კეთილშობილ“ ზავადსკის უარი უთხრეს ასეთი „ქველმოქმედების“ ჩადენაზე, რადგან მის კეთილშობილებას ძალიან ცუდი სუნი უდიოდა. კაცს რომ ცხენი აჩუქო, სასიქადულო საქმედ ჩაგითვლიან, მაგრამ ტაიჭი რომ ჩოჩორზე გადაუცვალო, ყბადასაღები გახდები.

მოქალაქე ზავადსკიმ გაასაჩივრა თავისი „კეთილშობილება“. თბილისის კალინინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. არჩვაძის თავმჯდომარეობით, მოიმარჯვა, რა საბინაო კანონის 28-ე მუხლი, თავისი გადაწყვეტილებით ნება დართო მოქალაქე ზავადსკის ჩაიდინოს „ქველმოქმედება“, ალბათ იმიტომ, რომ საკითხს ფსკერში არ ჩაუხედავს.

საბინაო განყოფილება არ მოეშვა საკითხის ფსკერს და მისჯილი ქველმოქმედება უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრა.

შეიკრიბა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია ამხ. უ. კაპანაძის თავმჯდომარეობით და წევრების ამხ. შ. გოგუაძის და ამხ. ი. გვათუას შემადგენლობით. ორი ხმით ერთის წინააღმდეგ დადასტურებულ იქნა მოქ. ზავადსკის „კეთილშობილება“. საკითხს ფსკერში ჩახედა მხოლოდ ამხ. ი. გვათუამ და ამიტომ განსაკუთრებული აზრი დაურთო კოლეგიის დადგენილებას. მოგვყავს ამონაწერი მისი განსაკუთრებული აზრიდან: „გადაწყვეტილება უსწოროა და გაუქმებულ უნდა იქნას შემდეგი მოსაზრების გამო: ვართანიანს უკავია ერთი ოთახი 26 კვადრატული მეტრი ფართობით, ხოლო ზავადსკის ორი ოთახი 55 კვ. მეტრი ფართობით. დადგენილია, რომ ბინები ხარისხითაც დიდად განსხვავდებიან. მართალია, კანონით აკრძალული არ არის საცხოვრებელი ფართობით განსხვავებული ბინების გაცვლა, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ძალზე დიდი განსხვავებაა გასაცვლელ ბინებს შორის, თანაც მოსარჩელეებს ახლობლები არ არიან, რომ ამით დაინტერესებული იყონ, ხოლო სხვა ისეთი საფუძველი არა ჩანს, რომ ეს ჩვეულებრივ გაცვლად მივიჩნიოთ“.

სხვანაირად რომ ვთქვათ, ამხ. გვათუამ ის აზრი გამოთქვა, რომ ტაიჭს ჩოჩორზე ვინ გადაცვლის, თუ სარგებელს არ გამოელის, რომ მოქ. ზავადსკის „კეთილშობილებას“ სპეკულაციის სუნი უდის.

ეს საქმე ზედამხედველობის წესით გადავიდა რესპუბლიკის პროკურატურაში, სადაც კიდევ უფრო ღრმად ჩახედეს საკითხს ფსკერში და დააზუსტეს, რომ მოქალაქე ზავადსკის „კეთილშობილებას“ ტყავის სუნი უდის. მოგვყავს ამონაწერი წარდგინებიდან, რომლითაც რესპუბლიკის პროკურატურამ მიმართა ამ საქმის გამო საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორს:

„საბინაო ორგანოებმა ზავადსკის მრავალჯერ შესთავაზეს სხვა თანაბარფასოვანი ბინა იმავე ან სხვა რაიონში, რადგან გადაცვლის მოტივად იგი ასახელებდა ცუდ დამოკიდებულებას მეზობლებთან, მაგრამ ზავადსკიმ უარყო ყველა წინადადება და დაჟინებით მოითხოვს ბინის გადაცვლას მხოლოდ ვართანიანთან. თუმცა სპეკულაციის ფაქტი დადგენილი არ არის, მაგრამ პროკურატურაში შემოსული ცნობებიდან ჩანს, რომ ვართანიანს, რომელიც ტყავისა და ფეხსაცმლის ერთ-ერთი წარმოების საწყობის გამგედ მუშაობს, მნიშვნელოვანი შემოსავალი აქვს და შეეძლო მატერიალურად დაეინტერესებინა მოქ. ზავადსკი“.

გენერალური პროკურორის მოადგილემ ამხ. მიშუტინმა რესპუბლიკის პროკურატურის წარდგინება საქმის გაპროტესტების შესახებ სპეკულაციის დამადასტურებელი საბუთების უქონლობის გამო უშედეგოდ დატოვა და უმაღლესი სასამართლოს დადგენილება ანუ მოქ. ზავადსკის „კეთილშობილება“ ძალაში შევიდა და აღსასრულებლად წარედგინა ქალაქის საბინაო განყოფილებას.

ამ დღეებში ეს საკითხი განიხილა მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა და „კეთილშობილ“ ზავადსკის მაინც უარი უთხრა ბინის „გაცვლაზე“. ასე რომ უმაღლესი სასამართლოს დადგენილება ჰაერში გამოკიდებული დარჩა.

ეს საქმე ალბათ კიდევ წავა მოსკოვში. იქნებ ჩვენ შევავსოთ იგი უფრო დამაჯერებელი საბუთებით. „კეთილშობილი“ ზავადსკი, თოკითაც რომ დააბათ, არ იცხოვრებს ვართანიანის ბინაში, ეს ჩვენთვის უდავოა. ზავადსკი თავის ბინაშიც არ ცხოვრობს ფაქტიურად, რადგან მას სხვა თბილი და ტკბილი თავშესაფარი აქვს. მის ბინაში უფრო ხშირად მაკლერებს ხედავენ, ვიდრე თვითონ ზავადსკის. ეს კიდევ არაფერი. ჩვენს ხელთ არსებული საბუთის მიხედვით, მოქალაქე ზავადსკის გასული წლის ოქტომბრიდან ბინის ქირაც არ გადაუხდია და მასზე დავალიანებად ირიცხება 680 მანეთი. არსებითად მას უფლებაც დაკარგული აქვს ამ ბინაზე.

იქნებ სხვა მუხლი უფრო შეეფერება მოქ. ზავადსკის „კეთილშობილებას“, რომელსაც უსათუოდ ტყავის სუნი უდის!...

ბ. შუბიძე.

როცა ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობას საქმისადმი ზერელე მიდგომით ცვლიან

ქაღალდების ნაკადი და შეუცვლელი მდგომარეობა

ახლანდელ პირობებში მანქანა-ტრაქტორთა სადგური გადამწყვეტი ძალაა საკოლმეურნეო წარმოების განვითარებაში. სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მტს-ის მუშაკთა გამართულ მუშაობაზე. ეს ჭეშმარიტება კარგად აქვს შეგნებული ცხაკაიას მტს-ის მექანიზატორთა უმრავლესობას. ტრაქტორისტებმა ვ. ხუნწარიამ, თ. დავითაიამ, შ. ჩიქოვანმა და სხვებმა შარშან სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა დიდი გადაჭარბებით გაანაღდეს. ახლა ისინი ჩაბმული არიან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და საგაზაფხულო ხვნის სამუშაოების ყოველდღიურ ნორმას გადაჭარბებით ასრულებენ.

ამ მტს-ის მექანიზატორები, რომლებიც 32 კოლმეურნეობას ემსახურებიან, მინდვრად გავიდნენ. წელს ისინი კვადრატულ-ბუდობრივი წესით პირველად დათესავენ 1.500 ჰექტარ სიმინდს.

სამწუხაროდ, მტს-ში მუშაობის გარდაქმნა ახალი ვითარების საფუძველზე ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება. შარშანდელი სამეურნეო წელი მტს-მა ცუდი მაჩვენებლებით დაამთავრა, გეგმით ნავარაუდევი 24 ათასი ჰექტარის ნაცვლად რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნა 22.744 ჰექტარი, ძირითად სახეებში ჩაშალა სამუშაოები, საგაზაფხულო თესვის გეგმა 49,6 პროცენტით შეასრულა. საშემოდგომოდ არც ერთი ჰექტარი არ დაუთესია. სანახევროდაც არ შეუსრულებიათ ჩაის გასხვლის, პლანტაციის გადახვნის, სოიის ლეწვის, ციტრუსების ფართობის ხვნის გეგმები და სხვ.

გასული წლის გაკვეთილიდან სათანადო დასკვნა არ გამოუტანიათ. მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა უნდა უზრუნველყონ ყველა დამუშავებულ ფართობზე უხვი მოსავლის მიღება. ამის მიღწევა შეიძლება, თუ ნაყოფიერად გამოვიყენებთ ტრაქტორებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს, მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად შევასრულებთ მინდვრის სამუშაოებს. მტს-ში კი სერიოზული ნაკლოვანებებია. მას გაზაფხულმა მოუმზადებელს მოუსწრო. ტრაქტორების რემონტი გააჭიანურეს. 18 მარტისათვის ეს სამუშაო დაუმთავრებელი იყო. კოლმეურნეობებთან გაფორმებული არ არის შესასრულებელ სამუშაოთა ხელშეკრულებანი.

მექანიზატორებმა წელს საგაზაფხულოდ უნდა მოხნან 3.433 ჰექტარი. 15 დღეა, რაც მინდვრად მუშაობენ, მოხნული კი მხოლოდ 800 ჰექტარია. ამის მიზეზი ის არის, რომ ტრაქტორები სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული, საშუალოდ დღეში ერთი ტრაქტორით მხოლოდ 3-3,5 ჰექტარს ხნავენ, მაშინ როცა გეგმა 5 ჰექტარს ითვალისწინებს. ზოგიერთ კოლმეურნეობაში ხვნა ჯერაც არ დაუწყიათ.

წელს რაიონში 280 ათასი ცალი ვაზის ნერგი უნდა იქნას დამყნობილი. აგროწესებით სანერგის მოსაწყობად მტს-ს ნიადაგი უნდა მოემზადებინა გასული წლის შემოდგომაზე. მაგრამ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ რატომღაც ეს არ გაითვალისწინა და ნიადაგის მომზადების გეგმა მტს-ისათვის არ მიუცია. ახლა კი მტს-ში ამ სამუშაოს შესრულება მოუხდებათ გაზაფხულზე, თუმცა ამ საქმეშიც არ იგრძნობა პასუხისმგებლობა. ასევე სამარცხვინოდ ჩამორჩნენ ხეხილის ბაღების სამუშაოთა შესრულებაში.

მტს-ის შენობა და ფარდულები წესრიგზე არ არის მოყვანილი და თითქმის ავარიულ მდგომარეობაშია. ამის გამო სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების დიდი ნაწილი გარეთ ყრია და ფუჭდება. უვარგისია ავტოპარკიც. 17 ავტომანქანიდან მხოლოდ ორია სამუშაო მდგომარეობაში. სახელოსნო ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნილებას.

როგორც ჩანს, პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ბევრი მუშაკი დღემდე იჩენს მტს-ის, როგორც გადამწყვეტი ძალის შეუფასებლობას. პარტიის რაიკომი, რაისაბჭოს აღმასკომი და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო სუსტად ხელმძღვანელობენ მტს-ს, არ ახორციელებენ სათანადო კონტროლს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და კეთილსინდისიერად შესრულებისათვის. სოფლის მეურნეობის სამინისტროს „ოპერატიული“ ხელმძღვანელობა უკანასკნელ ორთვენახევარში იმით ამოიწურა, რომ 282 მიმართვა და დირექტივა გამოგზავნა ცხაკაიას მტს-ში. ქაღალდის ნაკადი კვლავ შეუწყვეტლად მოედინება, ხოლო მდგომარეობა ადგილზე უცვლელი რჩება...

ახალი ვითარება, ხელმძღვანელობის ძველი მეთოდები

სოფლის მეურნეობის დარგში ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს პარტიული ორგანიზაციების დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას. ცხაკაიას რაიონში სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში ჩამორჩენა დაძლეული იქნებოდა, პარტიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, მტს-ისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელები უნარიანად რომ ახორციელებდნენ ორგანიზატორულ მუშაობას.

იმის გამო, რომ ჯეროვნად ვერ იყენებენ რაიონში არსებულ მატერიალურ პირობებსა და შესაძლებლობებს, დიდია ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა რიცხვი. 32 კოლმეურნეობიდან მილიონერია მხოლოდ 10, დანარჩენ კოლმეურნეობებს მცირე შემოსავალი აქვთ. შარშან რაიონში არ შესრულებულა ჩაის, სიმინდის, სოიის, ციტრუსებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გეგმები.

რაიონში სოფლის მეურნეობის ყველაზე თავმინებებული და მივიწყებული დარგია საზოგადოებრივი მეცხოველეობა. წლების მანძილზე არ სრულდება მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები. შარშან თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს მხოლოდ 205,5 ლიტრი რძე, მაშინ როცა გეგმა 840 ლიტრს ითვალისწინებდა. სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 87 ლიტრი რძე. ასეთი მაგალითი მრავალია.

მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითები მოწმობს, რომ სადაც უნარიანად იყენებენ უდიდეს რეზერვებს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში, იქ მეურნეობის განვითარების დონეც მაღალია, ამას ცხადყოფს კონკრეტული მაგალითი. სოფელ ფოცხოს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა და ხორშის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა ნიადაგისა და ჰავის მხრივ დაახლოებით თანაბარ პირობებში არიან, მაგრამ მათი საქმიანობის შედეგები მკვეთრად განსხვავდება. შარშან პირველმა კოლმეურნეობამ მეორესთან შედარებით თვითეულ ჰექტარზე ორჯერ მეტი სიმინდის, ჩაის და სხვა კულტურების მოსავალი მიიღო, სამჯერ გაზარდა მეცხოველეობის პროდუქტიულობა. მოწინავე კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა მიაღწია მილიონნახევარ მანეთზე მეტს, თვითეულ შრომადღეზე განაწილდა 15 მანეთი ფულად და 2,1 კილოგრამი მარცვლეული, მაშინ როცა ხორშის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი მხოლოდ 636.741 მანეთია და შრომადღეზე განაწილებულია 3,4 მანეთი ფულად და 800 გრამი მარცვლეული.

წელსაც არ იგრძნობა გარდატეხა ჩამორჩენილ კოლმეურნეობაში. სუსტია შრომის დისციპლინა, მოუწესრიგებელია შრომა. ყველა კოლმეურნე არ მონაწილეობს საკოლმეურნეო სამუშაოებში. კოლმეურნეებს დ. ღვაბერიას, ბ. გაბელიას, ც. გვასალიას, ც. ფაჩულიას, ლ. ფირცხალავას, ლ. სახეიშვილს, მ. აფშილავას და სხვებს მიმდინარე სამეურნეო წელს არც ერთი შრომადღე არ გამოუმუშავებიათ.

კოლმეურნეობა მოუმზადებელი შეხვდა გაზაფხულს, არა აქვს ჩაის და სხვა კულტურების თესლი. არ სრულდება აგროტექნიკის მოთხოვნები, ირღვევა მინდვრის სამუშაოთა ვადები. არის იმის ფაქტები, რომ აქ პატივისცემით არ სარგებლობს აგროტექნიკა.

17 მარტს ადგილზე შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ამ კოლმეურნეობის ნაკვეთებზე აგროწესების უხეში დარღვევით წარმოებდა ჩაის პლანტაციის გადაბარვა, სასუქი მიწაში არ იყო ჩაფლული და თითქმის 80 პროცენტი ზევით იყო მიმოფანტული. ყველაზე უფრო ეს იგრძნობოდა იმ ბრიგადაში, რომელსაც ვ. გვასალია ხელმძღვანელობს.

არასახარბიელო მდგომარეობაა საგაზაფხულო ხვნაშიც. კოლმეურნეობაში 15 სამუშაო დღეში მოხნეს 15 ჰექტარი, სულ კი გეგმა 308 ჰექტარს ითვალისწინებს. კოლმეურნეობას ჰყავს 215 სული მუშა-პირუტყვი, მაგრამ მას სანახევროდაც ვერ იყენებს, რადგან საკვები არა აქვს. 900 ტონის ნაცვლად უხეში საკვები 250 ტონა დაამზადეს.

კოლმეურნეობაში ვხვდებით თვალისახვევის ფაქტებს. საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის გეგმებს ასრულებენ მხოლოდ პირუტყვის შესყიდვის გზით. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ამ მიზნით დაიხარჯა 112.502 მანეთი. უფრო მეტიც. შარშან კოლმეურნეებზე ზედმეტად გაიცა 36.594 მანეთი. ეს მაშინ, როცა წელს კოლმეურნეებს შარშანდელი შრომადღეებიდან კუთვნილი 54.948 მანეთი არ მიუღიათ.

კოლმეურნეობის გამგეობის უთავბოლო მუშაობა იქამდე მივიდა, რომ ბრიგადებსა და რგოლებს ჯერაც არა აქვთ მიცემული საწარმოო დავალებანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ხორშის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაშლილია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. კომუნისტების უმრავლესობას არა აქვს პარტიული დავალებანი, ყურადღება არ ექცევა მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანმა ამხ. მ. სახეიშვილმა არ იცის, თუ რა ამოცანები დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ გამართულმა პლენუმმა სოფლის მეურნეობის დარგში, ვერ ერკვევა პარტიული მუშაობის ელემენტარულ საკითხებში. შეკითხვაზე — რა პარტიული დავალება აქვს კომუნისტ დ. შუღლულაიას, მან გვიპასუხა, იგი ზოოტექნიკოსიაო (?!).

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ცენტრალური ფიგურაა საკოლმეურნეო წარმოებაში, ხოლო პარტიის რაიკომის დამოკიდებულება მისდამი ზოგჯერ შეუწყნარებელია. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან ცუდად მუშაობენ, არ ზრუნავენ მათი აღზრდისათვის, არ უწევენ სათანადო დახმარებას ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ. პარტიის რაიკომი და რაიაღმასკომი მათდამი იყენებენ ზემოქმედების მხოლოდ ადმინისტრაციულ მეთოდებს. ასეთი მუშაობის შედეგად სოფელ ხორშის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სამი თავმჯდომარე შეიცვალა. ყოველწლიურად იცვლება ბრიგადირთა შემადგენლობაც. რაიკომის ზოგიერთი მუშაკი ადგილებზე მისვლის ნაცვლად კაბინეტებიდან კანცელარიულ ხელმძღვანელობას ამჯობინებს და ხშირად გვერდს უვლის პარტიული ორგანიზაციის მდივნებს. მხოლოდ ერთი მაგალითი: რაიკომიდან 6 იანვარს დარეკეს ხორშის სასოფლო საბჭოში, რომ 7 იანვარს კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობაში მოეწყობოდა პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრება. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ფაჩულიამ ოფიციალურად მისწერა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ქ. კანკავას: „ხვალ 7 იანვარს საღამოს 7 საათზე თქვენთან ჩატარდება პარტიული კრება. გააფრთხილეთ ნ. გვასალია მოამზადოს საანგარიშო მოხსენება. ამასთან გააფრთხილეთ პარტწევრები კრებაზე გამოცხადდნენ დაუგვიანებლად“ (!!). ქაღალდი, რომელზეც გაჩნდა კოლმეურნეობის თავმჯდომარის (?!) რეზოლუცია: „გაფრთხილებულია პარტიის ყველა წევრი“, მაშინვე საქმეში ჩააკერეს. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

პარტიის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სასწრაფოდ უნდა გარდაქმნან მუშაობა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში, მთელი ძალები მოახმარონ იმას, რომ პრაქტიკული დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და მტს-ს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

შ. ჭოჭუა,
ს. არღუნელი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ბულგარეთის მთავრობის განცხადება

სოფია, 26 მარტი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გამოსაქვეყნებლად გადასცა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ბერლინის თათბირის მსვლელობას, რადგან იგი ყოველთვის ამიჭებდა და ამიჭებს დიდ მნიშვნელობას ყოველ ღონისძიებას, რომელსაც შეუძლია შეამციროს საერთაშორისო დაძაბულობა და განმტკიცოს მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

ბერლინის თათბირზე მიღწეულმა შედეგებმა ცხადყო, რომ მოლაპარაკების გზით შეიძლება გადაჭრას სადავო და გადაუჭრელი საკითხები. ბულგარეთის ხალხი, ისევე როგორც ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, იწონებს შეთანხმებას, რომელსაც ამ თათბირმა მიაღწია ზოგიერთ საკითხში.

ბერლინის თათბირმა ცხადყო, რომ შესაძლებელია გადაჭრას აგრეთვე გერმანიის პრობლემა და მასთან დაკავშირებული ევროპის უშიშროების საკითხი, რაც ხელს შეუწყობს დაძაბულობის შემდგომ შენელებას. ეს განსაკუთრებით საჭიროა იმიტომ, რომ დასავლეთ გერმანიის მილიტარისტული და რევანშისტული ელემენტები სულ უფრო აშკარად მოქმედებენ და შეუძლიათ კვლავ საფრთხე შეუქმნან ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობას. ბულგარელი ხალხი, რომელსაც ძვირად დაუჯდა ბულგარეთის ფაშისტურ მთავრობათა თანამშრომლობა გერმანიის იმპერიალისტებთან, აშკარად ხედავს სერიოზულ საფრთხეს, რომელსაც შეიცავს დასავლეთ გერმანიის ახლანდელი მდგომარეობა. მისი ინტერესები, ისევე როგორც ევროპის ყველა ხალხის ინტერესები, მოითხოვს, რომ მიღებულ იქნას ეფექტიანი ღონისძიებანი და თავიდან აცილებულ იქნას მოვლენები, რომლებიც უშუალო საფრთხეს შეუქმნიდა ევროპის ხალხთა უშიშროებას.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა, გამოხატავს რა ბულგარელი ხალხის მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს, ყოველთვის უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს ყველა ღონისძიებას, რომელთა მიზანია ალმოიფხვრას გერმანიის დასავლეთ ნაწილში მილიტარიზმისა და რევანშიზმის აღდგენის საფრთხე. იგი ღრმად არის დარწმუნებული, რომ საბჭოთა მთავრობის წინადადება — დაიდოს „სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ“. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ყველა შესაძლებლობით დაუჭერს მხარს ამ წინადადების განხორციელებას და მზად არის მონაწილეობა მიიღოს ამ ხელშეკრულებაში.

მიღება ამავე დროს აღმოფხვრის საფრთხეს, რომელსაც შეიცავს ზოგიერთი წრეების ის პოლიტიკა, რომ ევროპაში შეიქმნას სახელმწიფოთა დაჯგუფება სხვა სახელმწიფოების წინააღმდეგ.

ბულგარელ ხალხს ესაჭიროება მტკიცე მშვიდობა, რათა კვლავ მთელი ძალღონით განაგრძოს სოციალიზმის მშენებლობა. ამ მიზნებს ემსახურება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკაც, რომელიც უაღრესად მშვიდობისმოყვარულია და გამომდინარეობს ჩვენი სახალხო-დემოკრატიული წყობილების თვით არსიდან.

ბულგარელმა ხალხმა თვითონ განიცადა რამდენიმე ომი, რომლებიც გამოიწვია, სხვათა შორის, სახელმწიფოების აგრესიულ დაჯგუფებათა შექმნის პოლიტიკამ. მას შემდეგ, რაც ბულგარეთი ორჯერ გახდა გერმანიის აგრესიულ მილიტარიზმზე დამოკიდებული, იგი დღეს საზიანოდ არის დაინტერესებული, რომ რაც შეიძლება მალე გადაჭრას გერმანიის საკითხი გერმანიის ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს შექმნის გზით. ამას მოითხოვს ევროპის ყველა ხალხის, მათ შორის, უწინარეს ყოვლისა თვით გერმანელი ხალხის ეროვნული ინტერესები და უშიშროება.

„ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ დადება გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება იმ მხრივ, რომ გადაჭრას ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანა და შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა ევროპის ყველა ხალხს შორის, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ხალხებს შორის მტკიცე მშვიდობისა და საქმიანი ურთიერთობის დამყარების გზით.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მიაჩნია, რომ „ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ სრულიად ევროპის ხელშეკრულების“ დადებამ, რაც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა, და რომელშიც ევროპის სხვა ქვეყნებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ ბალკანეთის სახელმწიფოებიც, გადამწყვეტ როლს შეასრულებს ბალკანეთის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

ბულგარელი ხალხი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა უშინაგნად უჭერენ მხარს საბჭოთა მთავრობის წინადადებას — დაიდოს „სრულიად ევროპის ხელშეკრულება ევროპის კოლექტიური უშიშროების შესახებ“. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ყველა შესაძლებლობით დაუჭერს მხარს ამ წინადადების განხორციელებას და მზად არის მონაწილეობა მიიღოს ამ ხელშეკრულებაში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესიაზე

ვენა, 26 მარტი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მოხსენება თემაზე „ბრძოლა პროფკავშირულ უფლებათა დაცვის ძირითადი პრინციპების აღიარებისა და გამოყენებისათვის და მზადება 1954 წლის 1 მაისისათვის“ გაკეთა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანმა ლიუ ჯან-შენმა.

ლიუ ჯან-შენმა გაიხსენა, რომ პროფკავშირთა მე-3 მსოფლიო კონგრესის გადაწყვეტილებებში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა მშრომელთა და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ბრძოლას პროფკავშირულ უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვისა და მოპოვებისათვის. კერძოდ, კონგრესმა აღნიშნა, რომ პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და მშრომელთა შეუპოვარი ბრძოლის შედეგად შემოღებულ სოციალურ კანონებზე კაპიტალისტური ქვეყნების მონოპოლიებისა და მთავრობების შეტევის გაძლიერებასთან დაკავშირებით საჭიროა 1954 წლის 1 მაისის დღისწყაროდ გამართოს პროფკავშირულ უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვისა და მოპოვების ლოზუნგით.

კაპიტალისტურ ქვეყნებში, თქვა მომხსენებელმა, რეაქციული ძალები უბიძგებენ თავიანთ სახელმწიფოებს სულ უფრო და უფრო შორს ფაშიზაციისაკენ და მშრომელთა კანონიერ უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის გზაზე.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გამოსცა მთელი რიგი კანონები, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეკვეცეს ფუშათა და მოსახლეობის ეკონომიური და სოციალური უფლებები. წარმოებს პროფკავშირული მოძრაობის პროგრესულ მოღვაწეთა დევნა და მათზე თავდასხმები. მაკარენის კანონით ამერიკის შეერთებული შტატებიდან განდევნა უცხო წარმოშობის ასობით პროფკავშირული მოღვაწე უმუშევრობის წინააღმდეგ გაფიცვებში მონაწილეობისათვის. სამუშაოდან ითხოვენ ყველას, ვინც ილაშქრებს სენატორ მაკარტის ფაშისტური „მოღვაწეობის“ წინააღმდეგ.

პარიზის სავაჭრო პალატის ხელმძღვანელები მთავრობისაგან მოითხოვენ გამოსცეს პოლიტიკური გაფიცვის აკრძალვის კანონი.

ქარხანა „ფიატის“ დირექტორმა (იტალია) მოითხოვა ხუთასი მუშის დათხოვნა მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი კომუნისტები და სოციალისტები არიან. ინგლისში გახშირდა პროფკავშირის აქტივისტთა—გაფიცვების მონაწილეთა დისკრიმინაციის შემთხვევები. მკაცრად ახშობენ დემოკრატიულ თავისუფლებებს და არღვევენ პროფკავშირულ უფლებებს კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებშა.

რეაქციის შემოტევას, ტერორს, დემოკრატიულ თავისუფლებათა და პროფკავშირულ უფლებათა დარღვევას, განაგრძო ლიუ ჯან-შენმა, მშრომელები უპასუხებენ გმირული ბრძოლით უკეთესი ცხოვრებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისა და პურისთვის; გააქტიურდა მუშათა და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობა, მტკიცდება მშრომელთა მოქმედების ერთიანობა თავიანთი უფლებების დასაცავად.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია, ხაზგასმით აღნიშნა მომხსენებელმა, პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებებისა და ეროვნული პროფცენტრების მეშვეობით კონკრეტულ დახმარებას უწევს მებრძოლ მშრომელებს, რაზრავს მათ უფრო გადამწყვეტი და შეთანხმებული მოქმედებისათვის პროფკავშირულ უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დასაცავად და მოსაპოვებლად. ლიუ ჯან-შენმა წინადადება შეიტანა მოეწყოს უაღრესად მჭიდრო თანამშრომლობა იურისტებთან საერთაშორისო და ეროვნული მასშტაბებით მშრომელთა პროფკავშირული უფლებების ხელყოფის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნოს სახელით მან წინადადება შეიტანა — შეიქმნას მშრომელთა პროფკავშირული უფლებების ქარტიის პროექტის შემდგენელი კომისია და იგი დამტკიცდეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური საბჭოს შემდგომ სესიაზე როგორც პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში შემავალი, ისე არაშემავალი პროფკავშირების წევრთა შორის ფართო განხილვის შემდეგ.

ლიუ ჯან-შენის მოხსენების გამო კამათში პირველი გამოვიდა ფოსტის, ტელეფონის, ტელეგრაფისა და რადიომაუწყებლობის მუშაკთა პროფკავშირების საერთაშორისო გაერთიანების გენერალური მდივანი ბაუმგარტი. მან ილაპარაკა კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში პროფკავშირულ უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა დარღვევაზე.

შემდეგ გამოსულმა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ლ. ნ. სოლოვიოვმა დაწერილებით ილაპარაკა კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებში პროფკავშირულ უფლებებსა და დემოკრატიულ თავისუფლებებზე რეაქციის შეტევის შესახებ.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარე ტოლედანო, საარინე და სხვები.

სესია მუშაობას განაგრძობს.

გაიხსნა კანადის მუშათა პროგრესული პარტიის მეხუთე ყრილობა

ტორონტო, 26 მარტი. (საკდესი). გუშინ ტორონტოში გაიხსნა კანადის მუშათა პროგრესული პარტიის მეხუთე ყრილობა. ყრილობის მუშაობის შესახებ, პრესისათვის გამოქვეყნებული ცნობის თანახმად, პირველ სხდომაზე მოხსენება კანადის მუშათა პროგრესული პარტიის ეროვნული კომიტეტის სახელით გააკეთა პარტიის გენერალურმა მდივანმა ტომ ბაკმა, რომელსაც კანადის ყველა კუთხიდან ყრილობაზე ჩამოსულმა დელეგატებმა ოვაცია გაუმართეს.

როგორც ცნობაშია ნათქვამი, ტომ ბაკმა დაწვრილებით ილაპარაკა კანადის მდგომარეობასა და საერთაშორისო საკითხებზე.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნული კომიტეტის განცხადება

ნიუ-იორკი, 26 მარტი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულმა კომიტეტმა პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცა განცხადება, რომლითაც მოუწოდებს გაჩაღდეს ფართო მოძრაობა იმისათვის, რომ ჩაიშალოს კანონპროექტები კომუნისტური პარტიის აკრძალვის შესახებ, რომლებიც კონგრესმა უნდა განიხილოს.

სიოიცი კასუგა არჩეულია იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარედ

პეკინი, 26 მარტი. (საკდესი). სინხუას საგენტო იუწყება:

იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა ხელმძღვანელმა ორგანომ თავის 22 პარტიის სხდომაზე ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოს თავმჯდომარედ აირჩია სიოიცი კასუგა.

კიმ ირ სენის მოხსენება კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე

ფხენიანი, 25 მარტი. (საკდესი). დღეს გაზეთებში „ნოდონ სინმუნში“ და „მინჯუ ჩოსონში“ გამოქვეყნდა კიმ ირ სენის მოხსენება კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში პარტიული, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციების მორიგი ამოცანების შესახებ.

ეროვნული ეკონომიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში

გუშინ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩის მეექვსე პარტია. თეორიებით თამაშობდა ბოტვინიკი. 34-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

ამრიგად, ექვსი პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 4½ : 1½ ბოტვინიკის სასარგებლოდ. მორიგი მეშვიდე პარტია გაიმართება 30 მარტს.

სურათზე: მარცხნით — მსოფლიოს ჩემპიონი მ. ბოტვინიკი, მარჯვნით — ვ. სმისლოვი.

ფოტო ლ. ველიკჟანინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა მოჭადრაკეების გამარჯვება

დამთავრდა ამხანაგური საჭადრაკო ტურნირი სსრ კავშირისა და არგენტინის გუნდებს შორის

ბუენოს-აირესი, 26 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). სსრ კავშირისა და არგენტინის გუნდების ამხანაგური საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი დამთავრდა საბჭოთა მოჭადრაკეების გამარჯვეებით ანგარიშით 20,5 : 11,5.

25 მარტს უკანასკნელი ტურის პარტიების გათამაშების შემდეგ მოხდა ტურნირის დახურვა. არგენტინის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდენტი ლაურენსი, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რაგოზინი, სსრ კავშირის გუნდის კაპიტანი კერესი და არგენტინის გუნდის კაპიტანი გიუმარი ერთმანეთს მიესალმნენ. ბ. კერესმა საბჭოთა მოჭადრაკეების სახელით არგენტინის გუნდს გადასცა მეგობრობის საჭადრაკო თასი. თავის მხრივ არგენტინის მოჭადრაკეებმა „საბჭოთა მოჭადრაკეებს საჩუქრები გადასცეს. საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთა პატივსაცემად არგენტინის საჭადრაკო ფედერაციამ ბანკეტი გამართა.

საბჭოთა გუნდის კაპიტანმა გროსმაისტერმა ბ. კერესმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: „ევროპაში ბევრი წარმატებითი შეხვედრის შემდეგ საბჭოთა მოჭადრაკეები პირველად გამოემგზავრნენ ოკეანეს გაღმა. არგენტინის მოჭადრაკეებთან მეგობრული შეხვედრამ დიდი სპორტული ინტერესი გამოიწვია. როგორც ცნობილია, არგენტინის გუნდი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდია, და ამ მეგობრულ მატჩში, რომელიც მეტად დაძაბულად მიმდინარეობდა, არგენტინელმა მოჭადრაკეებმა თავი ღირსეულ მოწინააღმდეგეებად გამოიჩინეს. მსურს აღვნიშნო ის გულთბილი სტუმართმოყვარეობა, რომელიც არგენტინის საზოგადოებრიობამ გაგვიწია“.

გროსმაისტერი ა. ტოლუში.

ძრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **მიხაილოვი** დანიშნა სსრ კავშირის საგარეგანო და სრულუფლებიან ელჩად პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ვ. ვ. **პოპოვი** გაათავისუფლა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში საგარეგანო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

საბჭოთა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი ბუქარესტში

ბუქარესტი, 26 მარტი. (საკდესი). დღეს ბუქარესტის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე გათამაშდა დაუმთავრებელი პარტიები. თამაშის დანუაგებლად ყაიმზე შეთანხმდნენ კლუგერ-ტროიანესკუ და ვოიკულესკუ-პაოლი. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე სლიფა-კლუგერის პარტია.

უკანასკნელი დამთავრდა საბჭოთა მოჭადრაკეების ფურმან-ნეიშტადტნოვის პარტია. თეორიებმა გაიხადდეს თავიანთი მატერიალური უპირატესობა და გამარჯვებას მიაღწიეს 77-ე სვლაზე.

ამრიგად, პირველი ადგილი ტურნირში დაიკავა საბჭოთა ოსტატმა კორჩნოიმ, რომელმაც მოიგოლა 13 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა ნეიშტადტნოვი (სსრ კავშირი), რომელსაც აქვს 12,5 ქულა. მესამე და მეოთხე ადგილები გაიყვეს ხოლმოვმა (სსრ კავშირი) და ფილიპმა (ჩეხოსლოვაკია), რომელებსაც თერთმეტ-თერთმეტი ქულა აქვთ.

ბუქარესტი, 27 მარტი. (საკდესი). გუშინ საღამოს საზეიმო ვითარებაში დაიხურა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი ბუქარესტში. რუმინეთის საჭადრაკო სექციის თავმჯდომარემ აკადემიკოსმა მიხეილ სადოვიანუმ მიულოცა ტურნირის ყველა მონაწილეს შეჯიბრების წარმატებით დამთავრება და პრიზები გადასცა გამარჯვებულებს. პირველი პრიზი გადაეცა ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატს ვ. კორჩნოის, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. მეორე პრიზი მიიღო რუსეთის სფსრ ჩემპიონმა ჭადრაკში რ. ნეიშტადტნოვმა, რომელმაც ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა. საბჭოთა ოსტატს რ. ხოლმოვს, რომელმაც ფილიპთან გაიყო მესამე და მეოთხე ადგილები, გადაეცა მესამე პრიზი, რადგან კოეფიციენტების ცხრილის მიხედვით მისი შედეგი უკეთესი იყო.

ყველაზე ლამაზი პარტიებისათვის სპეციალური პრიზები მიიღეს ნეიშტადტნოვმა (სსრ კავშირი) — პაოლის წინააღმდეგ პარტიისათვის, კლუგერმა (უნგრეთი) — შტალბერგის წინააღმდეგ პარტიისათვის და პახმანმა (ჩეხოსლოვაკია) — შანდორის წინააღმდეგ პარტიისათვის. რუმინელ ოსტატ ჩოკოლტიას სპეციალური პრიზი გადაეცა ფურმანის წინააღმდეგ კარგად გათამაშებული პარტიისათვის.

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

ბელგრადის ეკონომიკური კონფერენციის დასასრული

ბელგრადი, 26 მარტი. (საკდესი). ბელგრადში ეკონომიკური კონფერენციის ბოლო სხდომაზე, ბ. ბ. ბ.